ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 14 იანვარი, 2022 №10 (8788) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

შსს-მ ბოლნისში 1,5 კგ ჰეროინი ამოიღო

დაკავებულია რ.ა.

ელგუჯა ცომაია: „სააკაშვილის საქართველოში შემოყვანა გია ლორთქიფანიძემ მთხოვა“

გვ.5

„ზურაბიშვილსა და „ოცნებას“ შორის ფარული გარიგება შედგა“

გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „ამ ქალბატონს თავმოყვარეობა მაინცდამაინც არ აწუხებს და თანამდებობა ურჩევნია“

გვ.3

„მიშა პოლიტპატიმარია, მაგრამ ქვეყანაში სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც არსებობს“



მამუკა გვაძაბია: „მოვუწოდე მელიას, ნაყოფიას, ცისკარიშვილს, რომ აიღონ ინიციატივა ხელში და გამოიყვანონ ხალხი ნატოს მხარდაჭერის მოთხოვნით“

„ჩვენთან პოლიტიკანები გაკოტრების შემდეგ ხალხის ლანძღვაზე გადადიან“

გვ.4

პეტრე მამრაძე: „სააკაშვილის რეჟიმის დროს 300 ათასი პრობაციონერი იყო... მუშაობამ აზრი დაკარგა“

გვ.3

„წელს ეკონომიკური ზრდა კვლავაც იქნება“

სოსო არჩვაძე: „აპრილის თვიდან უნდა ველოდოთ ფასების საგრძნობ კლებას“

„ომი გარდაუვალია“

გვ.4

„ბილდი“: „რუსეთის ფსბ-ს დაქვემდებარებული ჯარისკაცები და მესაზღვრეები ახორციელებენ საქართველოს რეგიონების ოკუპაციას“

ISSN 1987-9385

2 ლონდა თოლორაია საკონსტიტუციო სასამართლოსა და ევროსასამართლოში იჩივლებს

5 ბათუმში კორპუსის ჩამონგრევა მზიდი კედლების გამოცლამ გამოიწვია

5 აჭარასა და გურიაში ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს
დაკავებულია 3 პირი

6 „ანტიკოვიდური რეგულაციები ყელში ამოვიდა“
საფრანგეთში პედაგოგების გაფიცვა დაიწყო

„ზურაბიშვილსა და „ოცნებას“ შორის ფარული გარიგება შედგა“

ნიკა ჩიტაძე: „ამ ქალბატონს თავმოყვარეობა მაინცდამაინც არ აწუხებს და თანამდებობა ურჩევნია“

იაგო ნაცვლიშვილი

მწვავე კრიტიკის მიუხედავად, პრეზიდენტმა ვეტოს უფლება ისევ არ გამოიყენა. მან ხელი მოაწერა სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებსაც და საერთო სასამართლოების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებსაც. რითაც გაქარწყლდა მოლოდინი, რომ პრეზიდენტი „ქართულ ოცნებას“ გაემიჯნა.

რას ნიშნავს პრეზიდენტის ეს გზავნილი? ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ მომავალში აღარ უნდა ველოდოთ მისგან მმართველი ძალისგან დისტანცირებას და რა გზავნილი დაინახა მესამე პრეზიდენტის გუშინდელი სასამართლო პროცესისგან? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს.

– არ გამართლდა ის მოლოდინი, რაც პრეზიდენტის მიმართ იყო. მან ვეტო არ დაადო კანონს, რომელიც ინსპექტორის ინსტიტუტის გაყოფის შესახებ მომზადდა. რა თქვა ამით ზურაბიშვილმა?

– ალბათ ამ შემთხვევაში ის, რომ ის გაემიჯნებოდა „ქართულ ოცნებას“. ბოლო პერიოდში ცდილობდა, რომ დამოუკიდებელი როლი ეთამაშა, მაგრამ მე ასე მგონია, რომ რაღაცა მოლაპარაკება შედგა „ოცნებასა“ და პრეზიდენტს შორის.

– „მოგვარდნენ“?

– არ არის გამორიცხული, რომ სადღაც რაღაცა ფარული შეხვედრა შედგა მათ შორის. ყოველ შემთხვევაში, შეახსენეს, რომ ის არის „ოცნების“ წინაშე დავალებული.

– ეს იქნებოდა პრეზიდენტისთვის საკმარისი თუ სხვა დივიდენდებსაც ხომ არ მიიღებდა ის?

– კი, არაფერია გამორიცხული. ყოველ შემთხვევაში, დიდი ალბათობით რაღაცა გარიგება მოხდა. აქედან გამომდინარე, მან არ მოაწერა ხელი. ამით, ბუნებრივია, ზურაბიშვილის ავტორიტეტი შეილახა იმის გამო, რომ მან არ გამოიყენა ვეტოს უფლება.

– მან ხელი მოაწერა საერთო სასამართლოების შესახებ კანონსაც და ამავე დროს ორივე კანონს აკრიტიკებს. ეს რა პოლიტიკაა, როდესაც თან აკრიტიკებ და ხელმოწერით ეთანხმები?

– სწორედ აქედან გამომდინარე ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის დამოკიდებულია „ქართულ ოცნებაზე“. არ არის გამორიცხული, რომ შესაძლოა „ოცნებამ“ უთხრა, რომ შესაძლებლობაა ხელმეორედ იყაროს კენჭი პრეზიდენტობაზე. მოსახლეობა აღარ აირჩევს, მაგრამ ამის შესაძლებლობა არსებობს. იმისათვის, რომ მან არ გაიზიაროს მარგველაშვილის ბედი, შესაძლებელია, რომ ის კვლავ დააყენონ კანდიდატად და აირჩიონ ხმოსნების მეშვეობით, ამიტომ მისთვის სჯობს, რომ „ოცნებასთან“ იმეგობროს.

– ანუ, თუ უნდა, რომ გახდეს პრეზიდენტი, მაშინ რაღაცებზე თვალი უნდა დახუჭოს?

– კი, უბრალოდ, ამას დაზუსტებით ვერ ვიტყვით, ეს ჩვენ შეგვიძლია ვარაუდების დონეზე ვთქვათ. ვერ დავამტკიცებთ, შედგა თუ არა შეხვედრა. ყოველ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტის გაუქმების თაობაზე აკრიტიკებ ხელისუფლებას და ვეტოს უფლებით არ სარგებლობ, მაშინ ამას რაღაცა მიზეზი უნდა ჰქონდეს.

– ამით დასრულდა პრეზიდენტსა და „ოცნებას“ შორის ერთგვარი დისტანცირება თუ მაინც ველოდოთ სხვა ნაბიჯებსაც, რომ ის სხვა რამეზე გამოიჩენს პრინციპულობას?

– თუ ამ შემთხვევაში არ გამოიჩინა პრინციპულობა, მომავალში ნაკლებად შესაძლებელია, რომ ამ პრინციპულობას მიმართოს.

– ახლა იყო შანსი და ეს შანსი ხელიდან გაუშვა?

– კი. შესაძლოა ითვალისწინებს იმას, რომ მარგველაშვილს ამ პრინციპულობის გამო მეორედ აღარ ჰქონდა შანსი, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად წარედგინა „ოცნებას“. ზურაბიშვილს შესაძლოა ამბიცია აქვს, რომ მეორე ვადითაც გახდეს საქართველოს პრეზიდენტი. ამიტომაც მას არ უნდა, რომ გაუფუჭდეს ურთიერთობა მმართველ პარტიასთან. მით უმეტეს, რომ მომავალში ზურაბიშვილის არჩევა-არარჩევის საკითხი პირდაპირ იქნება დამოკიდებული „ოცნებაზე“.

– თუმცა რა სჯობს – ერთხელ იყო პრეზიდენტი და ღირსეულად, თუ ორჯერ და არცთუ ისე ღირსეულად?

– ეს თქვენ გესმით ასე, თორემ მას სხვანაირად ესმის. თუნდაც ის ერთხელაც, როგორ უღირსად იყო არჩეული, ესეც ხომ გვახსოვს?! როგორ მოიყვანეს პრეზიდენტად, ხომ ვიცით?! მეორე ტურის წინ მისი პლაკატები ჩამოხსნეს და ივანიშვილის და კობახიძის პლაკატები გააკრეს. ამით მიანიშნეს, რომ ზურაბიშვილი შესაფერისი კანდიდატი არ არის, მაგრამ ივანიშვილს დაუჭირეთ ამით მხარიო. როგორც ჩანს, ამ ქალბატონს თავმოყვარეობა მაინცდამაინც არ აწუხებს და თანამდებობა ურჩევნია. არც პასუხისმგებლობა აქვს, როდესაც საკუთარ ქვეყანას დააბრალებ ომის დაწყებას, ბუნებრივია, აქ პასუხისმგებლობაზე საუბარი ზედმეტია.

მარგველაშვილი წავიდა ვა-ბანკზე და მას აღარ დაუჭირეს მხარი. ზურაბიშვილს კი გათვლა აქვს ალბათ, რომ საკაშვილზე მეტ ხანს იყოს პრეზიდენტი, რომელიც 9 წელი იყო ქვეყნის პრეზიდენტი.

– თუმცა, მაშინ ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის სხვა სისტემა იყო. მაშინ მთავარი ფიგურა პრეზიდენტი იყო, დღეს, მგონი, ნომინალურია პრეზიდენტის როლი.

– ნომინალურია, მაგრამ სახელმწიფოს მეთაური ჰქვია და ზურაბიშვილს ურჩევნია პრეზიდენტი ერქვას, ვიდრე საქმე აკეთოს. თანამდებობისთვის ის თავმოყვარეობაზეც უარს იტყვის და ღირსებაზეც. რამდენიმე მაგალითს მოვიყვან.

2008 წელს, როდესაც ლევან გაჩეჩილაძე წამოაყენეს პრეზიდენტობის კანდიდატად, რომელიც კარგად ერკვეოდა დაგინებასა და შეგინებაში, ხომ გვახსოვს?! მაშინ ზურაბიშვილმა თქვა, მაშინ მე უნდა ვიყო პრემიერიო, რადგან პრეზიდენტის უფლება არ ჰქონდა, რადგან საკმარისი რაოდენობით არ ჰქონდა საქართველოში ნაცხოვრები. ამ დროს ეკონომიკურ საკითხებში საერთოდ ვერ ერკვეოდა, მაშინდელ პრემიერ ლადო გურგენიძესთან ჰქონდა დებატები და არაფერში არ ერკვეოდა. გურგენიძემ ჰკითხა, რამდენია საქართველოს ბიუჯეტიო და არც ვიცი და არც მაინტერესებსო.

მეორე მაგალითია ის, რომ 2009 წელს, როდესაც ოპოზიციის გამოსვლები დაიწყო, ოპოზიცია იძახდა, რომ პრეზიდენტი უნდა გადავაყენოთო. როდესაც ეს ვერ გააკეთეს, მაშინ საკაშვილმა თქვა, ქუჩიდან რომ ყვირიან, მოვიდნენ მთავრობაში და აიღონ პასუხისმგებლობა მართვაზეო. მაშინ ზურაბიშვილი წარდგა მომიტინგეების წინაშე და თქვა, რომ მზად იყო დაეკავებინა შს მინისტრის პირველი მოადგილის პოსტი. ანუ, მან ოპოზიციიდან პირველმა განაცხადა, რომ სურვილი ჰქონდა თანამდებობა დაეკავებინა. აქედან ჩანს, რომ თანამდებობის გულისთვის თავმოყვარეობასაც ილახავს.

– ბოლო პერიოდში ოპოზიციის მხრიდან მისი ქება-დიდება გვესმოდა. იგივე ნიკა გვარაიამაც შეაქო ახალი წლის ღამეს მისი განცხადების გამო. ახლა უკან წაიღოს ოპოზიციამ სიტყვები?

– არა, უნდა თქვან, რომ ემიჯნებიან პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას.

მაშინ საკაშვილმაც თქვა, რომ მომეწონა პრეზიდენტის კონსტრუქციულობაო. მე, მაგალითად, არ ვეთანხმები მესამე პრეზიდენტს ამაში. მე არ მწამს ზურაბიშვილის კონსტრუქციულობის. შერიგებისკენ რომ მოუწოდებს, ეგეც აბსურდია. ძალიან კარგად იცის, რომ შერიგება ვერ მოხდება, მაგრამ ვითომ მომრიგებლის როლს თამაშობს.

– საკაკაშვილი ახსენეთ და მისმა გუშინდელმა პროცესმა რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ? თქვა, რომ ყველა ფრონტზე საბრძოლველიაო და ეს „ნაცმოძრაობისთვის“ გზავნილი ხომ არ იყო, რომ შევიდნენ პარლამენტში და გამოიყენონ საპარლამენტო ბერკეტები?

– კი, მე ასე მგონია, რომ ზუსტად ეს გზავნილი იყო. თავის დროზე, როდესაც ნაცმოძრაობა არ შედიოდა პარლამენტში მიშელის დოკუმენტის შემდეგ, მან მოუწოდა პარტიას, რომ შესულიყვნენ პარლამენტში. დღესაც ასე მგონია, რომ მესამე პრეზიდენტის სურვილია ენმ-ამ გამოიყენოს საპარლამენტო ტრიბუნაც და ბერკეტები პარლამენტს გარეთაც.

– საკაკაშვილის ქმედებები რამდენად ლოგიკურია? მის ოპონენტებს ბუნებრივად ხომ არ უჩნდებათ შეკითხვები იმის მიუხედავად, რომ ზოგჯერ აბსურდულობაში გადადიან ხოლმე. რამდენად ლოგიკურია, როცა ადამიანს აქვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა და უცებ ეკონომიკურ ხედვას გვთავაზობს?

– არა, ეკონომიკური ხედვა, პირიქით, მისასალმებელია.

– მისასალმებელი კი არის, მაგრამ რამდენად ლოგიკურია ეს ორი მოვლენა ერთად?

– მე ასე მგონია, რომ ეს ადამიანი აგრძელებს ქვეყანაზე ფიქრს, ამიტომაც ის გვთავაზობს თავის ხედვას. მისგან ზოგჯერ რადიკალური განცხადებები კეთდება, ზოგჯერ კონსტრუქციული. ეს არის სინთეზი.

– ნახეთ რას ვკითხულობ – თუ ადამიანს აქვს ჯანმრთელობის ისეთი სერიოზული პრობლემები, როგორც ამას გვეუბნებიან ის ადამიანები, ვინც მის სანახავად შედიან ციხეში და ამ დროს ხდება ასე კარგად ჩამოყალიბებული ეკონომიკური ხედვის წარმოდგენა, ეს თუ არის ლოგიკური?

– კი, შესაძლებელია, რომ რაღაც პრობლემები ჰქონდეს ადამიანს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეხსიერება წაერთვა და ვერ აზროვნებს. ჩანს, რომ ის აზროვნებს, თუმცა, ბუნებრივია, რომ რაღაც პრობლემები ექნება ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. მაგრამ ის მაინც მებრძოლია და იმდენად ძლიერი პიროვნებაა, რომ ის მაინც მუშაობს ეკონომიკურ პროგრამაზე.

სალომე ზურაბიშვილმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების კანონს ხელი მოაწერა

13 იანვარს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესახებ კანონს ხელი მოაწერა.

ამასთან, როგორც პრეზიდენტის განცხადებაშია ნათქვამი, მიუღებლად მიმაჩნია ასეთი მნიშვნელოვანი კანონის მიღება დაჩქარებული წესით, ყოველგვარი კონსულტაციებისა და სათანადო დისკუსიის გარეშე, თუმცა სამსახურის გაუქმება და ახალი სტრუქტურების დაარსება თავისთავად არ იძლევა საფუძველს პრეზიდენტის მხრიდან სამართლებრივი ხასიათის მოტივირებული შენიშვნებისათვის.

„ხელი მოვაწერე „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომელიც ითვალისწინებს სამსახურის გაუქმებასა და მის ნაცვლად ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებას. ამგვარი სტრუქტურული ცვლილებების მიმართ არსებობდა და არსებობს განსხვავებული შეხედულებები, თუმცა ეს გადაწყვეტილება არ შეიცავს თავისთავად კატეგორიული ხასიათის სამართლებრივ წინააღმდეგობას. სამსახურის გაუქმება და ახალი სტრუქტურების დაარსება თავისთავად არ იძლევა საფუძველს პრეზიდენტის მხრიდან სამართლებრივი ხასიათის მოტივირებული შენიშვნებისათვის.

თუმცა მიუღებლად მიმაჩნია ასეთი მნიშვნელოვანი კანონის მიღება დაჩქარებული წესით, ყოველგვარი კონსულტაციებისა და სათანადო დისკუსიის გარეშე. მით უმეტეს, რომ დაჩქარებული წესით მისი განხილვის საჭიროება არაფრით არ ყოფილა გამართლებული.

მიუღებელია, რომ ქვეყანაში, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიის გამყარებას, ისეთ საკვანძო საკითხს, როგორიც არის პირადი მონაცემების დაცვა, დისკუსიისათვის სათანადო დრო და სივრცე არ ეთმობა.

ძალიან ცუდი პრეცედენტია, რომ დამოუკიდებელი სამსახურის ხელმძღვანელი, 6 წლის ვადით არჩეული პირი, სამსახურიდან თავისუფლდება ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა თუ მისი პროფესიული საქმიანობის მიმართ არგუმენტირებული შენიშვნების გარეშე. მით უმეტეს, როცა ჩვენი ქვეყნისთვის კვლავ ერთ-ერთ დიდ გამოწვევად რჩება თანამდებობის პირების დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის გამყარება.

მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შექმნილია უსამართლო ვითარება, რასაც ვიზიარებ და გამოვხატავ ჩემს უარყოფით დამოკიდებულებას. ვიტოვებ იმედს, რომ გამოსავალი იქნება მოძიებული, რათა ახლად შექმნილ ერთ-ერთ სამსახურში სახელმწიფო ინსპექტორს მიეცეს საკუთარი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა, დამოუკიდებლობის ყველა გარანტიით. მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება ასევე განაპირობებს დანარჩენი თანამშრომლების დამოუკიდებლობის ხარისხს“ – ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში.

ლონდა თოლორაია საკონსტიტუციო სასამართლოსა და ევროსასამართლოში იჩივლებს

სახელმწიფო ინსპექტორი ლონდა თოლორაია სამსახურის გაუქმების გამო საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით რამდენიმე დღეში მიმართავს, მოგვიანებით კი სარჩელს ევროსასამართლოშიც წარადგენს.

– ვეტოს მოლოდინი ნამდვილად არსებობდა იმ განცხადების ფონზე, რაც პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინ გააკეთა. მის ახლანდელ განცხადებასაც თუ დააკვირდებით, ის საკმაოდ საინტერესოა, რადგან, ერთი მხრივ, იგი ამბობს, რომ ვეტო არ დაადო კანონს, თუმცა, თავადვე ხედავს არაერთ სამართლებრივ პრობლემას ამ საკითხში.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე შესაძლოა გავლენა იმანაც იქონია, რომ პარლამენტის მხრიდან ძალიან ცხადად და ნათლად იყო გამოთქმული მოსაზრება, რომ ვეტოს დაძლევდნენ და ამას არანაირი აზრი არ ექნებოდა. ფაქტია, რომ მეც და პრეზიდენტიც ამ პროცესში ძალიან ბევრ სამართლებრივ პრობლემას ვხედავთ, – განაცხადა ლონდა თოლორაიამ.

მისივე თქმით, ახლა პირველი ნაბიჯი არის საკონსტიტუციო სასამართლო, სადაც სარჩელს რამდენიმე დღეში შეიტანს.

– ჩვენ და პირადად მეც სარჩელს შევიტან. ასევე გაუქმებულია არჩევითი თანამდებობა, რომლის პრეცედენტებიც არსებობს, თუმცა, ევროსასამართლომ არაერთხელ დაადგინა ასეთ პრეცედენტებზე დარღვევა. ამიტომ შიდა სახელმწიფოებრივი მექანიზმი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა, ხოლო გარე მექანიზმი – ევროსასამართლოში ბრძოლა, სადაც რამდენიმე მუხლით ვიდავებთ. საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე დღეში მივმართავთ, – განაცხადა ლონდა თოლორაიამ.

ჯანო ბაგრატიონი გარდაიცვალა

83 წლის ასაკში გარდაიცვალა სპორტსმენი, პედაგოგი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი.

ჯანო ბაგრატიონი იყო თბილისის საპატიო მოქალაქე, მიღებული ჰქონდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენი; იყო ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ორდენოსანი, ვახტანგ გორგასლის სახელობის ორდენის კავალერი.

ჯანო ბაგრატიონმა დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ასევე, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

იყო ხელბურთელი, მწვრთნელი, თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკში“; 1973-1984 წლებში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფიზაღზრდის კათედრის გამგედ; 1984-1987 წლებში თბილისის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე; 1987-1991 წლებში საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; 1991-1993 წლებში საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში მინისტრის მოადგილე; 1993-1996 წლებში საქართველოს სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; 1996-1998 წლებში საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; 1999-2004 წლებში იყო საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი; 2004 წლიდან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი.

გამოქვეყნებული აქვს 18 სამეცნიერო ნაშრომი და 1 მონოგრაფია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მიშა პოლიტპატიმარია, მაგრამ ქვეყანაში სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც არსებობს“

მამუკა გვაძაბია: „მოვუწოდე მელიას, ნაყოფიას, ცისკარიშვილს, რომ აიღონ ინიციატივა ხელში და გამოიყვანონ ხალხი ნატოს მხარდაჭერის მოთხოვნით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია პასუხობს.

– ბატონო მამუკა, თქვენ ოპოზიციურ პარტიებს და განსაკუთრებით ნაციონალურ მოძრაობას მიმართეთ, რადგან ხელისუფლება დუმს რუსეთსა და დასავლეთს შორის მიმდინარე პროცესებზე, მათ მაინც აიღონ ინიციატივა და ნატოში გაწევრიანების მხარდამჭერი მანიფესტაციები გამართონ. თუმც დუმს ოპოზიციაც. რა ხდება, რა პროცესები მიმდინარეობს? რატომ დუმს ხელისუფლება?

– რა ლოზუნგითაც მოვიდა „ოცნება“ 2012 წელს, რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკა, იგივეს აგრძელებენ დღემდე. ბატონ ივანიშვილს მყუდრო ადგილას უნდა ცხოვრება, არ სჭირდება ზედმეტი თავის ტკივილი. უკიდურესად პოლიტიზირებული ფულია ჩადებული საქართველოს ოკუპაციაში.

– რის სანაცვლოდ შეიძლება დაგვათმობინონ დასავლური კურსი? რა იგეგმება, რა ინფორმაციებს ფლობთ? ადრე საუბრობდით, რომ შესაძლოა, ამის სანაცვლოდ რუსეთმა აფხაზეთი შემოგვთავაზოსო. იგივე სიტუაციაა?

– არაფრის სანაცვლოდ არ უნდა დათმოს საქართველომ ეს კურსი. მე ზუსტად ვიცი, რომ ამ მიმართულებით ბიძინა ფრთხილად დგამდა ნაბიჯებს, აფხაზეთის დაბრუნებას რაც შეეხება, თუმცა ცოტა სხვა სიტუაციაა ახლა. რუსეთი დღეს ქართველებით აშინებს აფხაზებს. როგორც კი ურჩობენ აფხაზები, მაშინვე ეუბნებიან, რომ ჩვენ ქართველებთან წავალთ დათმობაზე. მერწმუნეთ, რომ დასავლეთი არაფერში არ გაცვლის საქართველოს და არაფრით არ მოხდება ამ კურსიდან გადახვევა.

– რუსეთის მუქარის და ულტიმატუმების არ ეშინია დასავლეთს?

– რა თქმა უნდა, არ ეშინია. რუსეთი გაცილებით უფრო სუსტია დღეს, ვიდრე საბჭოთა კავშირი იყო თავის დროზე. რუსეთმა თავის ჭკუით ულტიმატუმი წაუყენა დასავლეთს და მოსთხოვა ნატოს გაფართოების შეზღუდვის შესახებ, ანუ ის, რაც ბუქარესტის სამიტზე ჩაიწერა, იმის გაუქმება. რუსეთი ამას ელოდება ბრიუსელის სამიტზე, თუმცა გარწმუნებთ, რომ ეს არ მოხდება. სწორედ ამიტომ მივმართე პროდასავლურ ოპოზიციას, რომ გამოვიდნენ და დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია.

– გასაგებია, რომ ხელისუფლება მისდევს არგაღიზიანების პოლიტიკას, მაგრამ გასაკვირია, რატომ გაჩუმდა ოპოზიცია, როდესაც პროდასავლურობაზე დებენ თავს?

– სწორედ ეს იყო ჩემი მიმართვის მიზანიც. მოსახლეობა შეჰყურებს თუ რას იტყვიან ლიდერები, რას იტყვის დასავლური ოპოზიცია ამ მიმართულებით. დღეს ვინმეს მოსწონს თუ არ მოსწონს, მთავარი ოპოზიციური პარტია არის ნაცმოძრაობა და სწორედ მათ ლიდერებს მოვუწოდე, მელიას, ნაყოფიას, ცისკარიშვილს, რომ აიღონ ინიციატივა ხელში და გამოიყვანონ ხალხი ნატოს მხარდაჭერის მოთხოვნით. როდესაც ხელისუფლება არაფერს არ აკეთებს, მაშინ ეს ოპოზიციამ უნდა გააკეთოს. წესით, ახლა თავისუფლების მოედანზე 100 ათასი კაცი უნდა იდგეს და ნატოს დროშები უნდა გუგუნებდეს.

– დღეს ნაციონალურ მოძრაობას მიშას მეტი არაფერი ახსოვს და მხოლოდ მისი გათავისუფლების მოთხოვნით გამოდიანო. ალბათ სწორი შენიშვნაა არა?

– მიშა რომ პოლიტპატიმარია, გასათავისუფლებელია და უსამართლოდ ზის, ეს გასაგებია, მაგრამ ქვეყანაში არსებობს სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ. როდესაც საქმე ქვეყნის ბედს, მის მომავალს ეხება, აქ გაჩუმება არ შეიძლება. როდესაც შენი მეზობელი რუსეთი ასეთ ულტიმატუმს უყენებს შენს სტრატეგიულ მოკავშირეს, მაშინ დღის წესრიგი მიშას გარშემო ვერ იტრიალებს. ახლა სულ სხვანაირი მოცემულობაა. ხალხის ხმა უნდა გავაგონოთ ჩვენს პარტნიორებს და მოკავშირეებს.

– ბევრს ეგონა, რომ ოპოზიცია ამის ორგანიზებას მოახდენდა და ხალხს ქუჩაში გამოიყვანდა, მაგრამ ასე არ მოხდა, რატომ?

– არ ვიცი, არ იმჩნევენ თუ ვერ იმჩნევენ, ან საერთოდ რაშია საქმე.

– ნაცმოძრაობაში დღეს ძალიან დაძაბულია სიტუაცია. მელიას გადაყენების გამო, პარტიაში დაპირისპირებაა.

– საქართველოში მე არ მეგულება სერიოზული პოლიტიკური პარტია, სადაც აზრთა სხვადასხვაობა და დაძაბული სიტუაცია არ იყოს. როდესაც ამხელა პოლიტიკური პარტიაა, მთავარი ოპოზიციური პარტია, გასაკვირი არ უნდა იყოს დაპირისპირება და აზრთა სხვადასხვაობა. ბუნებრივი პროცესია ლიდერობისთვის ბრძოლა და ასე შემდეგ. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მთავარია, ეს პროცესები იყოს გამჭვირვალე.

– საუბარია, რომ რადგან ნაყოფია მოვიდა პარტიის თავმჯდომარედ, ნაცმოძრაობას დღეს არ აწყობს რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა, ნაყოფიას პრორუს პოლიტიკოსად მოიხსენიებენ და მას, როგორც რუს ბიზნესმენს, ისე იცნობენ. სწორედ ეს ხომ არ არის ამ პარტიის პასიურობის მიზეზი?

– მეც ნაცხოვრები ვარ რუსეთში და გამომაძევეს იქიდან. ახლაც არ ჩამესვლება იქ. ვიცი მათი მიდგომები. ჩემთვის გასაგებია, რას ნიშნავს იქ ცხოვრობდე და, მით უმეტეს, ბიზნესი გქონდეს. მე არა მგონია კობა ნაყოფია პრორუსი პოლიტიკოსი იყოს. კი, იქ მუშაობდა, ბიზნესიც აკეთა, მაგრამ არ მაქვს ფაქტები, რომ ამაზე ასე გადაჭრით ვისაუბრო. რომ მქონდეს რამე დამადასტურებელი ფაქტები, ნამდვილად არ დავმალავდი. მათი დუმილი მეც გამიკვირდა და სწორედ ამიტომ ღიად მივმართე ამ მოთხოვნით, რომ დააფიქსირონ თავისი პოზიცია.

– რამდენად არის რუსეთი დასავლეთთან დაპირისპირებაზე წამსვლელი?

– დღეს არ აქვს რუსეთს იმის ძალა, რომ დასავლეთს დაუპირისპირდეს. საკმაოდ სერიოზულია ის სანქციები, რაც რუსეთს დასავლეთისგან მოელის. ეს რუსეთმაც ძალიან კარგად იცის. ვერც შეიარაღებით დაიკვეხნის დიდად. ყველამ კარგად ვიცით დასავლეთის შესაძლებლობები.

– ბატონო მამუკა, უკრაინის და საქართველოს ნატოში შესვლის გამო, გაამწვავებს რუსეთთან ურთიერთობებს ამერიკა?

– სიტუაცია ისედაც გამწვავებულია. ისეთ ეკონომიკურ სანქციებზეა ლაპარაკი, რომ რუსეთი მალე გაზსაც კი ვეღარ გაიტანს ევროპაში. 2.300 დოლარი ღირდა ათასი კუბუმეტრი გაზი ევროპისთვის, ასეთი დიდი ფასი არასდროს არ ყოფილა. როდესაც ეს ფასი დაფიქსირდა რუსეთის მხრიდან, ამერიკამ თავისი გაზმზიდები, რომელიც აზიისკენ მიდიოდა, შუა გზიდან გამოაბრუნა და ევროპაში წაიღო გაზი. დღეს კი რამდენია ევროპაში გაზის ფასი? 600-700 დოლარი. მიანიშნეს რუსეთს, რომ შენ ჭკუით თუ არ იქნები, შენ გაზსაც კი ვერ გაყიდი. რუსეთს ისე მოახრჩობენ სანქციებით, რომ აზრზეც ვერ მოვა.

– საქართველოსთან დაკავშირებით რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული. რა მოლოდინი გაქვთ? ან ჩვენი ხელისუფლება რა პოზიციას დაიჭერს?

– ცუდი მოლოდინი ნამდვილად არ მაქვს. ამერიკა მაქსიმალურად ეხმარება უკრაინას და



ასევე დაეხმარება საქართველოსაც. საქართველოს მთავრობამ კი პოზიცია საერთოდ არ დააფიქსირა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ესაუბრა ზალკალიანს. დეგნანმაც გააკეთა განცხადება და სწორედ ის თქვა, რაც საქართველოს ხელისუფლებას უნდა ეთქვა. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ხელისუფლება ამერიკის საელჩოსთან იყო კოორდინაციაში და მათ გააკეთებინეს განცხადება. ამერიკის ელჩმა გაახმოვანა ჩვენი პოზიციაც. იმდენად არის ბიძინა ივანიშვილი დაშინებული იმ კომპრომატებით, რომელიც რუსეთს აქვს მასზე, რომ ხმას ვერ იღებს.

– რა კომპრომატებზეა საუბარი?

– ძალიან სერიოზულ კომპრომატებზე. ბიძინას საქმიანობის პერიოდზე. ეს ეხება 1992-დან 1996-წლამდე პერიოდს. მეც იქ ვიყავი იმ პერიოდში, რაღაც პრობლემა შემექმნა და მითხრეს ბორია ივანოვთან მიდიო და თურმე ბორია ივანოვი ბიძინა ივანიშვილი ყოფილა. ივანიშვილს და პატარკაციშვილსაც სერიოზული დაპირისპირება ჰქონდათ, მოსკოვში როცა იყვნენ. თუ კრიმინალურ დაჯგუფებებთან არ იყავი მჭიდრო კავშირში, ისე ვერაფერს გააკეთებდი იმ დროს რუსეთში. მათი დაკრიშვის გარეშე იქ ფულს ვერ იშოვიდი. 1000 დოლარის გულისთვის შეეძლოთ სადარბაზოში ჩაეცხრილეთ, აი ასეთი პერიოდი იყო და სწორედ ამ პერიოდში აქვს ამ კაცს ფული ნაშოვი. სწორედ ამ პერიოდში გამოიარა რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა და ათასი ჯანდაბა. ასეთ კაცზე რომ რუსეთს ბევრი კომპრომატი ექნება, ეს რა გასაკვირია. ბიძინასაც, ძალიანაც რომ არ სდომებოდა, ის პოლიტიკაში უნდა მოსულიყო, ეს ვალდებულება მას ჰქონდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, დასავლეთი ძალიან მყარად დგას ჩვენ მხარეს და ჩვენ არჩეულ კურსს არ გადავუხვევთ.

„წელს ეკონომიკური ზრდა კვლავაც იქნება“

სოსო არჩვაძე: „აპრილის თვიდან უნდა ველოდოთ ფასების საგრძნობ კლებას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში სოსო არჩვაძე პასუხობს.

– ბატონო სოსო, ვისმენთ შეფასებებს, რომ გასული წელი ორნიშნა ეკონომიკური ზრდით დასრულდა. თუმცა საკმაოდ მაღალია ინფლაციის მაჩვენებელი და ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ასეც გაგრძელდება. როგორია თქვენი შეფასებები მიმდინარე ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით?

– აბსოლუტურად სწორად შენიშნეთ, რომ ინფლაცია ეს არის ისეთი პრობლემა, რომელიც ჩვენი ყურადღების ცენტრშია და თანაბრად აწუხებს როგორც საზოგადოებას, ისე მედიას და დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებასაც. იმ ზოგადი წარმატებების ფონზე, რაც გამოიხატა საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდით და საგარეო სავაჭრო ექსპანსიით, ჩვენ ექსპორტიც საკმაოდ მნიშვნელოვნად გავზარდეთ, ინფლაციის დონე, რომ იტყვიან, ამ საერთო სურათს ნამდვილად აფუჭებს. თუმცა ამასაც აქვს თავისი ახსნა.

– რაში მდგომარეობს ეს?

– ასეთი მაღალი ინფლაცია ჩვენ ლარის შემოღების შემდეგ დეკემბერი-დეკემბერთან არ გვქონია. მიზეზები რა არის, ძირითადად, ჩვენ ვართ მსოფლიო ეკონომიკაზე დამოკიდებული, ანუ იმპორტზე და წლების განმავლობაში ჩვენთან ექსპორტი გაცილებით ნაკლები იყო იმპორტზე. სამწუხაროდ, გასულ წელს, სურსათსა და ენერგომატარებლებზე, ფასების საგრძნობი ზრდა იყო. სურსათზე სულ ცოტა 27%-ით გაიზარდა ფასები. ჩვენ, რომ იტყვიან, იმპორტდამოკიდებულები ვართ საკმაოდ მაღალი ხარისხით. მარტო ნავთობპროდუქტების ხაზით, დაახლოებით იმავე რაოდენობის პროდუქტზე, დაახლოებით 200 მილიონით მეტის გადახდა მოგვიწევს. ასევე მკვეთრად გაძვირდა ხორბლეული, ზეთი, შაქარი და სხვა პროდუქტები და საბოლოოდ ეს გაზრდილი ფასები მიდის რიგით მომხმარებელთან. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებს რომ შეხედოთ, ნახავთ, რომ სურსათი 15%-ით და მეტითაც არის გაძვირებული, მათ შორის, პური გაძვირდა 20%-ით.

– მოსახლეობას ძალიან მძიმე ტვირთად აწევს ეს გაძვირებული ფასები. თუ არსებობს რაიმე საშუალება, გზები, რომ რაღაცნაირად დაბალანსდეს ფასები?

– საქმე ისაა, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ და სწორ რეაგირებას ვაკეთებთ ფასების ზრდაზე, მაგრამ ფასების ზრდის ე.წ. სანინააღმდეგო ანტიდოტი ეს არის მოსახლეობის შემოსავლების ზრდა. საზოგადოების, ხელისუფლების და ბიზნესის ტენდენციები ისაა, რომ ინფლაციის ნებისმიერ ტემპზე უფრო მაღალი უნდა იყოს შემოსავლების ზრდა. თუ ეს ტემპი იქნა შენარჩუნებული, მაშინ თითოეული ოჯახი ისე მწვავედ ვეღარ იგრძნობს ფასების ზრდას. დავუშვათ, შესაძლოა ფასებმა მოიმატოს 10%-ით, მაგრამ უნდა მოიმატოს შემოსავლებმაც. შემოსავლების ზრდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყაროა დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესება, სამუშაო ადგილების შექმნა.

– სამწუხაროდ, ეს პრობლემა კვლავაც მწვავედ დგას ჩვენს ქვეყანაში.

– სტატისტიკას თუ დავუჯერებთ და ამ შემთხვევაში, უნდა ვენდოთ, სხვა გზა არ არის. სტატისტიკამ კი აჩვენა, რომ ბოლო მონაცემების მიხედვით, გაიზარდა დასაქმებულთა საერთო რაოდენობაც და მათ შორის, დაქირავების საერთო რაოდენობაც.

– ქვეყნიდან გადინებაა ძალიან მაღალი. ემიგრანტების რაოდენობა კიდევ უფრო მეტად გაიზარდა, მათი გამოგზავნილი თანხები კი ეხმარება აქ დარჩენილ მოსახლეობას. წინა წლებთან შედარებით, რამდენად არის მომატებული ეს მაჩვენებელი?

– წმინდა ფულადი ტრანზაქციები, შემოსულსა და გასულ ფულს შორის, დაახლოებით 24%-ით არის გაზრდილი. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და ივნისის თვის შემდეგ, ანუ 7 თვის მანძილზე, ჩვენ, ფაქტობრივად, ყოველთვიურად გვაქვს 200 მილიონ დოლარზე მეტი ფულადი გზავნილი უცხოეთიდან საქართველოში და, რა თქმა უნდა, ესეც გავლენას ახდენს მოსახლეობის კეთილდღეობაზე. რომ დავაჯამოთ, მეტ-ნაკლებად გაიზარდა დასაქმება, მეტ-ნაკლებად გაიზარდა საშუალო ხელფასი, გაიზარდა ფულადი ტრანზაქციები და რას ვღებულობთ? მოსახლეობას გაუჩნდა უფრო მეტი ფულის მასა ხელზე, ვიდრე მოხდა ფასების ჯამური ზრდა. პირობითად, თუ მოსახლეობა შარშან ყიდულობდა 100 მილიონის საქონელს და ახლა გახდა 120 მილიონი იგივე საქონლის შესაძენად საჭირო, მოსახლეობას გაუჩნდა 100-ის ნაცვლად 130 და ცოტა მეტი. მოსახლეობის რეალურმა შემოსავლებმა, ძალიან მნიშვნელოვნად არა, მაგრამ გარკვეულწილად გადაუსწრო კიდევაც ამ ინფლაციით გამოწვეულ ფასების ზრდას. კიდევ ერთ „საიდუმლოს“ გაგიმხელთ, გახსოვთ, რომ გასულ წელს ხელისუფლებამ გამოაცხადა სუბსიდირების პოლიტიკა კომუნალურ ხარჯებზე.

– წელს ეს აღარ არის და ესეც ტვირთად აწვება მოსახლეობას.

– დიახ, წელს აღარ არის და ნახეთ, სტატისტიკამ რა გააკეთა, სტატისტიკამ შარშან, იმის გამო, რომ შემცირდა მოსახლეობის ჯამური ხარჯები ამ კომუნალურ ხარჯებზე და ნაცვლად 100 მილიონისა, იხდიდა 60-ს. იმ 40%-ით ასევე შეამცირა კომუნალური ხარჯების ინდექსები გასულ წელს. ახლა კი გაანგარიშების დროს, ეს შემცირებული მაჩვენებლები ჩადო და იმ წელს სწორედ ამიტომ დაფიქსირდა ძალიან დაბალი ინფლაცია 2,4%. სამაგიეროდ ახლა, როდესაც გავიდა ერთი წელი და სუბსიდირება აღარ არის, ადგნენ და ამჟამინდელი ფასი შეუფარდეს არა შარშანდელ რეალურ მაჩვენებელს, არამედ ხელოვნურად შემცირებულ მაჩვენებელს, რომლის სუბსიდირებაც ხელისუფლებამ მოახდინა. სწორედ ამიტომ გამოვიდა რაღაც სასწაული ზრდა. გაკვრით უწერია სტატისტიკის სამსახურს, რომ ინფლაციის ზრდაზე გარკვეული გავლენა მოახდინა სუფსიდირების ფაქტორმაო და არ წერენ რამდენით. რომ დავთვალე, ეს სულ მცირე 3%-ია.

– ბატონო სოსო, დღეს მოსახლეობის დიდ ნაწილს აწუხებს მედიკამენტებზე გაზრდილი ფასი. თქვენთვისაც ცნობილია, ბოლო წლებია, როგორი მონოპოლიაა ამ ბიზნესის. პრემიერმა განაცხადა, რომ გაიხსნება თურქეთის ბაზარი და შემოვა იაფი წამლები. ამას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ, თუმცა მო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ჩვენთან პოლიტიკანები გაკოტრების შემდეგ ხალხის ლანძღვაზე გადადიან“

პეტრე მამრაძე: „სააკაშვილის რეჟიმის დროს 300 ათასი პრობაციონერი იყო... მუშაობამ აზრი დაკარგა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.

– ბატონო პეტრე, ოპოზიციური ძალები ხშირად გვაოცებენ თავიანთი ქმედებებით. თქვენ თუ გაგაოცათ ნათელაშვილის ბოლო განცხადებამ, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ უნდა ჰქონდეთ? თუ არ ვცდები, მათი რიცხვი 800 ათასია.

– არ გამოცა, რადგან ბატონ შალვას ვიცნობ, ვაკვირდები მის საქმიანობას, 1992-95 წლებში პარლამენტში ერთად ვიყავით. არ გამოცა, როდესაც ნათელაშვილმა თეთრი თათმანი გადააგდო პირდაპირ ეთერში, ან როცა მიადგა რომელიღაც პარტიას თუ ხელისუფლებას და თხისა თუ ცხვრის ჩონჩხი ესროლა. როგორც წესი, იგონებს რაღაცას, ეპატაჟურს, გამოაგნებელს, რომ ყურადღება მიიქციოს. რაკი დემაგოგიის ნიჭს ნამდვილად ფლობს, შეუძლია დაასაბუთოს თავისი ნათქვამი. არ ვიცი, როგორ დაასაბუთა მისი განცხადება, რომელიც მართლა საინტერესოა.

– უქონელი ადამიანები კიტრს და კარტოფილს იღებენ ხმების სანაცვლოდ და არჩევნებში არ უნდა მონაწილეობდნენო. კიტრი და კარტოფილი ვინ აიღო, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა შორის, ძალიან პატივსაცემი ადამიანებიც არიან გარემოებათა გამო და არც კარტოფილის გამო მისცემენ ხმას ვინმეს.

– მას რომ ეთქვა, სამწუხაროდ, საქართველოსნაირ ქვეყნებში ამომრჩევლებში არიან ისეთი ღატაკი ადამიანები, რომლებიც ნებისმიერს მიცემენ ხმას, ვინც ცოტა რაღაცას – შაქარს, ფქვილს თუ 20 ლარს მისცემსო, შეიძლება, არც ეს ყოფილიყო ლამაზი. ნამდვილად ასე ხდება არა მარტო საქართველოში. ყველგან ასე იქცეოდნენ გაღატაკებული და უსახლკარო ადამიანები, მაგრამ ხმის მიცემის უფლება (შესაბამისად, მოქალაქეობაც) შენარჩუნებული აქვთ, რომ ასეთ დროს მცირე ულუფა მიიღონ.

ეს ცნობილია, მაგრამ როდესაც მთელ ფენას სიღარიბის ზღვარი შეეხო, ანუ ბევრს შეეხო იმიტომ კი არა, რომ შრომა ეზარებოდა, ზარმაცი იყო, არამედ ქვეყანაში უსამართლობა სუფევდა, განსაკუთრებით, სააკაშვილის დროს და ბევრი ოჯახი ფეხზე ვეღარ დადგა.

წარმოიდგინეთ, სააკაშვილის რეჟიმის დროს 300 ათასი პრობაციონერი იყო. 300 ათასზე მეტ ადამიანს მოაწერინეს ხელი, მთელი თავისი ქონების, ბიზნესის დათმობაზე მხოლოდ იმისათვის, რომ ციხეებში არ დაელპოთ და სასტიკი მოპყრობა თავიდან აეცილებინათ.

ახლა მე ვციტირებ უცხოელი ადამიანის უფლებათა დამცველების, მათ შორის, თომას ჰამერბერგისა და სხვების დასკვნებს საქართველოზე. ვინ დათვლის, ამის შემდეგ რამდენი ოჯახი დაიქცა და გაუბედურდა, რამდენი მარჩენალი გარდაიცვალა, რომელსაც პატარა ბავშვები დარჩა. ბევრი გაღატაკდა.

ამ თემას არ გავაგრძელებ, მაგრამ იმ პერიოდში ბევრი გაღატაკდა არა იმის გამო, რომ თვითონ ვერ იმუშავეს, არამედ პირობები იყო ასეთი.

ასე რომ, ნათელაშვილის განაცხადი ისეთი არაჰუმანურია, რომელიც უნდა გვახსოვდეს. ნათელაშვილს, რომელსაც პიკში 10% და ცოტა მეტი ხმაც ჰქონდა, ამ მხრივ არჩევნებზე ანგარიშგასაწევი ძალა იყო, 1%-მდე დავიდა.

– მახსოვს, 2003 წელს, როცა თქვეს, არჩევნები გაყალბდაო (მაშინ, მგონი, ნათელაშვილს გაუყალბეს არჩევნები და არა მიშას), სააკაშვილმა რევოლუცია წამოიწყო, ნათელაშვილმა კი თქვა, ფურთხის ღირსი ხარ საქართველო და ქართველო ამომრჩეველოო, ანუ ასეთი განცხადებები ახასიათებს?

– დიახ, ჩვენ გვახსოვს თავის დროზე

პოპულარული პოლიტიკოსი თუ პოლიტიკანი, რომელმაც თქვა, რომ ქართველი ხალხი საქონელია.

– ნაცებიდანაა?

– არა, მაშინ სწორედ ნაცების წინააღმდეგ გამოდიოდა, გუბაზ სანიკიძემ ყოვლად ამაზრზენი რამ თქვა. გაკოტრების შემდეგ, ხალხის ლანძღვასა და გინებაზე გადადიან, რომ თურმე ხალხი ამ პოლიტიკანების ღირსი არ არის.

ეს სააკაშვილის ერთ-ერთი მინისტრის, თუ არ ვცდები, თორნიკე გორდაძის განცხადებას მაგონებს. მან თქვა, რომ საქართველოში ბრწყინვალე რეფორმები ჩატარდა (შემდეგ საფრანგეთში გადავიდა, იქ ცხოვრობს და ასეთი რა თქვა), მაგრამ ხალხი არ აღმოჩნდა ამ რეფორმების ღირსი, რადგან ამ ხალხს ნარდის თამაში ურჩევნია და არა მუშაობა.

ეს ქუთაისელმა კაცმა თქვა და არ ახსოვს, როგორ მუშაობდა ჩვენი ხალხი კომუნისტების დროს. მწვანილსა და ყვავილებს ყიდდნენ და უმდიდრესი რესპუბლიკა ვიყავით. მუშაობას სააკაშვილის დროს დაეკარგა აზრი. მიუღებელი განცხადებებია, მაგრამ ამას კადრულობენ.

– შალვა ნათელაშვილმა ხალხს სოციალური ქსელებით მიმართა და პარლამენტში შესასვლელად ამ გზით გადაწყვიტა ლეგიტიმაციის მიღება. პარლამენტში დაბრუნებისთვის ხალხში გამოკითხვას ატარებს. თქვენ ამ პროცესს როგორ უყურებთ?

– ეს მორიგი პოპულისტური ილეთია. პარლამენტში ხომ არ შედიოდა, ახლა რომ შევიდეს, საფუძველი ხომ სჭირდება?

– ანუ პასუხისმგებლობას თავის თავზე არ იღებს და უნდა, პასუხისმგებლობა ისევ ხალხს დააკისროს?

– თუ გარკვეულ ხმებს შეაგროვებს, მერე იტყვის: 100 ათასობით ადამიანმა მომმართა, პარლამენტში უნდა შეხვიდე, ჩვენი უფლებები დაიცვა და მეც გავითვალისწინეო, მაგრამ 1%-იანია. ბურჯანაძემ 1%-ზე ნაკლები მიიღო და პარლამენტში ვერ შევიდა.

სულ მახსენდება ივანიშვილის უკვდავი სიტყვები ნათელაშვილზე (როდესაც ნათელაშვილმა ხან იქიდან მოუარა, ხან აქედან, მაგრამ ვერ დაითანხმა): მე ჩაწოლილ საქონელს არ ვყიდულობო.

– ნაწყენიც იქნება, მაგრამ ჩვენ გვახსოვს, 2008 წელს ნათელაშვილი პარლამენტის წევრი გახდა და მანდატი არ დახია.

– მაშინ პარლამენტში დიდი ჯგუფი ჰყავდა.

– დიახ, მაგრამ გამოაცხადა, რომ პარლამენტში არ შედიან. მხოლოდ ერგემლიძე შემოვიდა, ნათელაშვილმა კი თქვა, პროტესტის ნიშნად პარლამენტში არ შევდივარო. ამით ხელფასიც შეინარჩუნა და პრემიაც.

– პრემია რაში მისცეს?

– პრემია იყო ყველასათვის. ოპოზიცია იყო თუ არაოპოზიცია, პრემია ყველას ეძლეოდა. რეალურად, ხელფასის დანამატი იყო, ანუ 17 ხელფასი ეძლეოდათ 12-ის ნაცვლად. ნათელაშვილს ეს სჩვევია. დარწმუნებული ვარ, პარლამენტის წევრის ხელფასს ახლაც იღებს.

„ომი გარდაუვალია“

„ბილდი“: „რუსეთის ფსბ-ს დაქვემდებარებული ჯარისკაცები და მესაზღვრეები ახორციელებენ საქართველოს რეგიონების ოკუპაციას“

მარიამ მჭედლიშვილი

როგორც მოსალოდნელი იყო, ვაშინგტონსა და მოსკოვს, ასევე ნატოსა და მოსკოვს შორის გამართული მოლაპარაკებები უშედეგო აღმოჩნდა. მანამდეც იყო ცნობილი, რომ დასავლეთი ნატოს გაფართოებაზე რუსეთს ვეტოს არ დაადებინებს. გაფართოებაში პირველ რიგში იგულისხმებიან საქართველო და უკრაინა. ევროპაში გამართული მოლაპარაკებებით არაფერი შეცვლილა. რუსეთის რიტორიკა უფრო მილიტარისტული გახდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრ გრუშკო კრემლის მკაფიო მუქარას ახმოვანებს:

– თუ ყველა პოლიტიკური საშუალება უძლური აღმოჩნდება ნატოს მუქარის წინააღმდეგ, რუსეთს მოუწევს მასზე პასუხი სამხედრო საშუალებებით. თუ ჩვენს ტერიტორიას განიხილავენ დარტყმის საშუალებების სამიზნედ, ამას ვერ დავეთანხმებით. თუ ნატო გადადის შეკავების პოლიტიკაზე, მოსკოვის მხრიდან განხორციელდება კონტრშეკავების პოლიტიკა.

რუსი დიპლომატი აღნიშნავს, რომ რუსეთსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს დღეისათვის არ გააჩნიათ გამაერთიანებელი დღის წესრიგი. მისი თქმით, რუსეთის მოთხოვნების იგნორირებას მოჰყვება ახალი კონფლიქტები და ინციდენტები, ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის მოშლა.

პოლიტიკოსები, მიმომხილველები და ანალიტიკოსები შექმნილ სიტუაციაში ომს წინასწარმეტყველებენ. როგორც ცნობილია, რუსეთს უკრაინის საზღვართან დიდი ხანია მობილიზებული ჰყავს საკუთარი სამხედროები და სამხედრო ტექნიკა. დასავლეთის ლიდერებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ უკრაინაში შეჭრა კრემლს ძვირად დაუჯდება.

ანტირუსული სანქციების პაკეტის პროექტი, ამერიკელი რესპუბლიკელების გარდა, დემოკრატებმაც წარმოადგინეს. პაკეტი გულისხმობს შეზღუდვებს და აკრძალვებს რუსეთის საბანკო სექტორის, „ჩრდილოეთი ნაკადი 2“-ის (ამ მილსადენით რუსეთმა გაზი უნდა მიაწოდოს ევროპას), პირადად ვლადიმერ პუტინის წინააღმდეგ.

ანალიტიკოსების უმრავლესობა ფიქრობს, რომ რუსეთს სანქციები ვერ გააჩერებს. პოლონური მედიის თანახმად, მოსკოვის მხრიდან უკან დახევა არ გამოვა. თუ კრემლი დათმობაზე წავა, ეს ნიშნავს პუტინი-ლავროვის პოლიტიკის სრულ დისკრედიტაციას. ეს იქნება იმ გუნდის კრახი, რომელიც უკვე 20 წელიწადზე მეტია მართავს რუსეთის ფედერაციას. თუ თავის პოზიციაზე ვაშინგტონიც არ იტყვის უარს, ომი გარდაუვალია. ბირთვული ომი არავის უნდა. საუბარია ომზე უკრაინაში.

ომისთვის მზად არიან უკრაინაში. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დმიტრი კულება ესაუბრა აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენს. მათ რუსეთის აგრესიისგან დაცვის პაკეტი განიხილეს. იმსჯელეს მოსალოდნელ მკაცრ სანქციებსა და უკრაინის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე.

– აქტიური დიპლომატიური საქმიანობის წყალობით, უკრაინას აქვს მძლავრი საერთაშორისო მხარდაჭერა. ჩვენი პარტნიორები უკვე აცნობიერებენ, რომ ევროატლანტიკური სივრცე იქნება უსაფრთხოდ მაშინ, თუ უსაფრთხოდ იქნება უკრაინა. ჩვენ ერთად ვატარებთ უსაფრთხოების ამ ფორმულას, – აცხადებს უკრაინის მთავარი დიპლომატი.

„ბილდი“-ს შეფასებით, რუსეთს მსოფლიო ბატონობა სურს. ამის დამადასტურებლად მოყვანილია პუტინის გლობალისტური კამპანიის ატლასი. ჩამოთვლილია რუსეთის აგრესიის ობიექტები და და ქვეყნები, სადაც არიან რუსეთის ჯარისკაცები ან დაქირავებული პირები.

– 2008 წლიდან რუსეთის ფსბ-ს შიდა საიდუმლო სამსახურს დაქვემდებარებული რუსი ჯარისკაცები და მესაზღვრეები ახორციელებენ საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას, – ნათქვამია სტატიაში.

საქართველოს გარდა, ატლასში შეყვანილი არიან უკრაინა, მოლდოვა, სერბეთი, სომხეთი, ყაზახეთი (საიდანაც ახლახან შეყვანილი ძალების გამოსვლის ბევრს არ სჯერა), სირია, ლიბია, ვენესუელა, ცენტრალური აფრიკის ქვეყანა და სხვა.

როგორ ჩანს, სიტუაციის გართულება მოსალოდნელია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ევროპელი ლიდერები ძირითადად ეთანხმებიან ამერიკელ პარტნიორებს. ამასთან, უკმაყოფილო არიან მოლაპარაკებებში ევროპის იგნორირებით.

თავად ევროპაში გამოითქმის სინანული იმის გამო, რომ ევროპა სხვებზეა დამოკიდებული. კერძოდ, პოლონელი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ სამხედრო სფეროში ევროპა ამერიკაზეა დამოკიდებული, ენერგეტიკის სექტორში – რუსეთზე, მრეწველობაში – აზიაზე (უპირველეს ყოვლისა, ჩინეთზე). დემოგრაფიული სიტუაციის მოგვარებაც მესამე სამყაროს მუსლიმანური ქვეყნებიდან ხდება.

ამ ვითარებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის აშშ-სა და ნატოს, რომლებსაც კრემლი უახლოეს მომავალში მწვავედ დაუპირისპირდება.

„წელს ეკონომიკური ზრდა კვლავაც იქნება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

სახლეობა კმაყოფილია. რას ელოდებით, რამდენად იმუშავებს ეს ყველაფერი?

– მედიკამენტებზე ფასები, ეს არის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა, რომელიც აწუხებს აბსოლუტურად საზოგადოების ყველა წევრს და განსაკუთრებით, ასაკოვან ადამიანებს, რომლებსაც რეგულარულად სჭირდებათ მედიკამენტების მიღება. ნებისმიერი გადადგმული ნაბიჯი ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ახლა მთავარია, როგორ მოვახდენთ ამის ამუშავებას. პირველ რიგში, გავიხსენოთ ჰიპოკრატეს ფიცი – არ ავნო. ჩვენ ისეთი პოლიტიკა უნდა გავატაროთ, რომ ბაზარზე არ მოხდეს საეჭვო წარმომავლობის და ხარისხის მედიკამენტები.

– რამდენად არის ამის საფრთხე? უკვე გაჩნდა შეფასებები, რომ თურქეთი შემჩნეულია ფალსიფიცირებული მედიკამენტების წარმოება შიო.

– რატომ მარტო თურქეთი? ეს ზოგადი პრობლემაა და მარტო ერთ ქვეყანაზე ნუ ჩამოვკიდებთ დამხრჩვალ ძაღლს. ზოგადად არსებობს ეს პრობლემა და ამას დასჭირდება სერიოზული ყურადღება. ასევე ფარმაცევტული ბაზრის დემონოპოლიზაცია უნდა მოხდეს, უფრო თავისუფლად უნდა მოხერხდეს ახალი მოთამაშეების შემოსვლა ამ ბაზარზე. უნდა შეიქმნას იმის გარანტიები, რომ ადგილი არ ექნება კარტერულ გარიგებებს. ასევე, კიდევ ერთი საკითხი, ჩვენ გვყავს ადამიანები, რომლებიც ქრონიკული დაავადებების მატარებლები არიან, ამიტომ მათთვის უნდა დაწესდეს გარკვეული ვაუჩერული სისტემა და სახელმწიფომ აიღოს თავის თავზე ეს ვალდებულება. გარკვეული სახის მედიკამენტებზე მოხდეს ფასების სუფსიდირება. ვიმუშაოთ სოციალურ ჯგუფებზე, ვინც ამას საჭიროებს.

– რა მოლოდინები გაქვთ 2022 წელს. კვლავაც იქნება მაღალი ეკონომიკური მაჩვენებელი ან ინფლაციის შეკავება თუ მოხერხდება?

– ეკონომიკური ზრდა კვლავაც იქნება. პროგნოზები საკმაოდ დამაიმედებელია. ამავდროულად ინფლაციის ტემპის შემცირებასაც ველოდები. ჩვენ იანვარ-თებერვალში იგივე პრობლემა გვექნება ფასების ინდექსთან დაკავშირებით, მარტიდან ეს პრობლემა ნელნელა მოიხსნება. ამის პარალელურად ჩვენ ველოდებით მსოფლიო ბაზარზე სურსათის პროდუქტების ოდნავ გაიაფებას და ნავთობპროდუქტებზე მეტ-ნაკლებად სტაბილურ ფასებს. ამიტომ გარე ფაქტორები ნაკლებად იმუშავებენ ამ მიმართულებით. აპრილის თვიდან უნდა ველოდოთ ფასების საგრძნობ კლებას. თუ ეს უნისონში იქნება დასაქმების პროცესის გაუმჯობესებასთან და ხელფასების მატებასთან, მაშინ გასული წლის ბოლოს გაცილებით პოზიტიური შედეგი გვექნება.

ელგუჯა ცომაია: „სააკაშვილის საქართველოში შემოყვანა გია ლორთქიფანიძემ მთხოვა“

13 იანვარს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთაში ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში ბრალდებულმა ელგუჯა ცომაიამ მისცა ჩვენება.

ცომაია დეტალურად მოყვა, თუ ვინ დაუკავშირდა მას და ვინ სთხოვა მიხეილ სააკაშვილის უკრაინიდან საქართველოში გადმოყვანაში დახმარება.

– 2-3 წლის წინ, უკრაინაში ჩემს ცოლისძმას პრობლემები შეექმნა. დავურეკე ჩემს ნაცნობს, რომელსაც დახმარება ვთხოვე. მე ვერ დაგეხმარებიო, მაგრამ ერთი ქართველი ბიჭია და შეიძლება ის დაგეხმაროსო. მომცეს გია ლორთქიფანიძის ტელეფონის ნომერი, რომელსაც არ ვიცნობდი საერთოდ.

დავურეკე ამ ლორთქიფანიძეს და ვთხოვე შეხვედრა. მეორე დღეს შევხვდით, მოვუყევი ჩემი ამბავი და მითხრა, ვეცდებიო. გავიდა რამდენიმე დღე და მითხრა, რომ ვერაფრით დამეხმარებოდა. ამის შემდეგ ისევ დავურეკე მას და ვთხოვე ჩემთან საწყობში მოსვლა, სადაც მაქვს ქართული პროდუქტები, რომელიც უკრაინაში დამაქვს. მოვუყევი, რა პრობლემებს ვაწყდებოდი უკრაინაში სამუშაოსთან დაკავშირებით და ასე დამთავრდა ჩვენი საუბარი.

ამის შემდეგ ხანდახან ვურეკავდი და აღბათ ათჯერ შევხვდით ერთმანეთს.

ერთ დღეს დამირეკა, მითხრა საქმე მაქვსო და საწყობში მოვალო. ეს იყო შარშან, დაახლოებით ერთი წლის წინ, ახალი წლის შემდეგ. მოვიდა გია ლორთქიფანიძე და მკითხა, შევძლებდი თუ არა ადამიანის გადაყვანას საქართველოში. ვუთხარი, რომ ეს არ მჭირდებოდა და ჩემი საქმე არ იყო, მაგრამ თუ რამეში დავეხმარებოდი, მათაც უნდა აღმოეჩინათ დახმარება ჩემი პრობლემების მოგვარებაში. ამის შემდეგ მითხრა, რომ შეეცდებოდა და მკითხა, მიხეილ სააკაშვილის გადაყვანას თუ შევძლებდი.

წამოვედი საქართველოში, შემდეგ გარდამეცვალა მეუღლე და სექტემბერში აბაშაში, ჩემს სახლში, დამირეკა გია ლორთქიფანიძემ ვოთსაპით და მითხრა, უკრაინაში უნდა წამოხვიდეო. 4 მანქანა მყავს და ყველაზე გამართული რომელიც იყო, სკანიას მარკის, დავჯექი და ცარიელი წავედი უკრაინაში. იქ ავიღე ტვირთი ხარკოვსა და ნიკოლაევში, შემდეგ წავედი ოდესისკენ.

27 სექტემბერს იყო დანიშნული გემი, მაგრამ გრაფიკი შეიცვალა და 26-ში საღამოს წამოვიდა. ამ დროს დავურეკე გიას და ვუთხარი, რომ 26-ში უნდა გავყვე გემს. პორტის შესახვევთან, ბენზინგასამართ სადგურთან დავდექი და ვუთხარი, რომ სააკაშვილი იქ უნდა მოსულიყო. ღამე იყო, ბნელოდა, მე კაბინაში ვიჯექი, როცა მანქანა მოვიდა და სააკაშვილი გადმოვიდა. მივესალმე და კაბინაში ჩავსხედით. კაბინაში არის 2 საწოლი. პორტში შესვლის დროს გამოვართვი პასპორტი და ის ავიდა ზედა საწოლზე. იქ სამალავი არაა, რომ შეიხედავს კაცი, დაინახავს ყველაფერს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ხშირად დავდივარ და თითქმის ყველა მებაჟე თუ მესაზღვრე მიცნობს, არ შევუმოწმებივარ წესიერად და მოვხვდით გემზე, – განაცხადა ცომაიამ.

მისივე თქმით, ფოთში ჩამოსვლის შემდეგ შეეძლო, კაბინაში დაეტოვებინა სააკაშვილი, მაგრამ, თავის დაზღვევის მიზნით, სთხოვა, რომ 15 წუთი ყოფილიყო საბარგულში.

– უკრაინაში, გემზე როცა ავედით, ავიღე ცალკე ოთახი. წამოვიყვანე სააკაშვილი და ერთად ვიყავით ორი დღის განმავლობაში. 27-ში დილით წამოვედით და ჩამოვედით ფოთში. მანქანის კარებზე, სადაც ლუქი ადევს, ისე გავაკეთე ჭანჭიკი, რომ მებაჟეებს არ ენახათ ლუქის დაზიანება. ფოთში რომ ჩამოვედით, ვნერვიულობდი, შემეძლო, კაბინაშიც დამეტოვებინა სააკაშვილი, მაგრამ თავის დაზღვევის მიზნით ვთხოვე, რომ 15 წუთით უნდა ყოფილიყო შიგნით, საბარგულში.

შავი სპორტულები ეცვა, ბოტასი, ქუდი ეხურა და პირბადე ეკეთა. როგორც კი ჩამოვედით გემიდან, მესაზღვრეებმა დაათვალიერეს ჩემი მანქანა და დაადეს თავიანთი ლუქი. სკანირებაზე რომ გაუშვეს მანქანა, შემეშინდა, ასე არ ეპოვათ სააკაშვილი და მოვიფიქრე, ერთ ადგილას, სადაც შუქი არ იყო, ჩამომესვა და კაბინაში გადმომეყვანა. ასე დავტოვეთ პორტი.

როცა მითხრეს, რომ მანქანა შემოწმებაზე მიდიოდა, დავურეკე ზურა წოწორიას. პორტის გასასვლელში მოვიდა ზურა წოწორია თავის შვილთან ერთად. სააკაშვილი ჩავუსვი წოწორიას მანქანაში, უკან. მანქანა შევიყვანე პორტში, სადღაც 40 წუთის მერე გამოვედი და ვთხოვე წოწორიებს აბაშაში, ჩემს სახლში წასვლა, – განაცხადა ელგუჯა ცომაიამ.

ელგუჯა ცომაიას განცხადებით, მისი ავტომობილი, რომელშიც ის სააკაშვილთან ერთად იმყოფებოდა, პატრულის თანამშრომელმა გააჩერა. ის მანქანის გაფუჭებული ნათურების გამო დააჯარიმეს. ისინი პატრულის თანამშრომელმა მაშინ გააჩერა, როცა ბათუმიდან თბილისში აპირებდნენ დაბრუნებას.

– მიხეილ სააკაშვილმა, მოდი, ბათუმში წავიდეთო, წავედით ბათუმში, ერთ ადგილას 5 წუთი იყო, მეორე ადგილასაც 5 წუთი ვიყავით და წამოვედით. უკან ვბრუნდებოდით, ღამე იყო, 9-10 საათი იქნებოდა, გზაში პატრულმა გაგვაჩერა, მათვალიერებდა მეც, მიხეილ სააკაშვილსაც. ვნერვიულობდი, კაცი აგერ გვერდით მიზის, მაგრამ უკანა ნათურები არ გინათებსო და ჯარიმას გამოგიწერო. გულში ვფიქრობ, გაგახარა ღმერთმა-მეთქი. ჯარიმა გამომიწერა და წამოვედით, – განაცხადა ცომაიამ.

მას პროკურორმა გრიგოლ ნიშნიანიძემ მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთ ვიდეოჩანაწერთან დაკავშირებითაც დაუსვა კითხვა, რომელშიც სააკაშვილი ამბობდა, რომ ის გაიტაცეს.

– ხუმრობა შემიძლია? თუ ასეთი მომტაცებელი ვიყავი, ივანიშვილს მოვიტაცებდი, იმას აქვს ფული. რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილს მე ვერ მოვიტაცებდი, – განაცხადა ცომაიამ.

მან ასევე აღნიშნა, რომ მისთვის სააკაშვილის მის სახლში ყოფნა დიდი პატივი იყო.

– ჩემთვის დიდი პატივისცემა იყო, მიხეილ სააკაშვილი ჩემ სახლში რომ იყო, ერთშიც, მეორეშიც და ბავშვების ოთახში რომ ეძინა. მინდა ახალი წელი მივულოცო მთელ საქართველოს. არავინ დაინტერესებულხართ, რატომ გადავდგი ეს ნაბიჯი, – განაცხადა ცომაიამ.

ადვოკატებმა ელგუჯა ცომაიას მადლობა გადაუხადეს და ბოდიში მოუხადეს.

ელგუჯა ცომაიას მძიმე დანაშაულის დაფარვასა და საზღვრის უკანონო გადმოკვეთაში დახმარებას ედავებიან.

ის ბრალს აღიარებს.

აჭარასა და გურიაში ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს

დაკავებულია 3 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, აჭარასა და გურიაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების და წესის დარღვევით საქართველოში შემოტანის ფაქტი გამოავლინეს.

პოლიციამ ორი პირი – 1985 წელს დაბადებული ვ.ი. და 1989 წელს დაბადებული ს.ი. დაკავა.

სამართალდამცველებმა, საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ ტერიტორიაზე, ბრალდებულების შემოწმებისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: 3 ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 3 მჭიდი და 1 ვაზნა.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ზ.ხ. ოზურგეთში დააკავეს.

მას ბრალად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა ედება.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ბლოუ მინი მოდ 2003?-ის მოდელის პისტოლეტი, მჭიდი და 8 საბრძოლო ვაზნა.

დანაშაულები 3-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და საქართველოს საბაჟო საზღვარზე წესის დარღვევით შემოტანის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, ასევე, 214-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს.

შსს-მ ბოლნისში 1,5 კგ ჰეროინი ამოიღო

დაკავებულია რ.ა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1977 წელს დაბადებული რ.ა. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა რ.ა. ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცურტავთან დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო 1 კილო და 500 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს.

საბერძნეთში დააკავეს საქართველოში დაბადებული პირი

ის რუსი სოლონიკის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი

საბერძნეთში დააკავეს საქართველოში დაბადებული იოაკიმ ქარსლიადისი, რომელიც 25 წლის წინ რუსი კილერის ალექსანდრე სოლონიკის მკვლელობის ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი. ამის შესახებ „ეხო კავკაზა“ იუწყება.

– ქარსლიადისს საბერძნეთის მოქალაქეობა აქვს. წარმოშობით ის საქართველოდანაა, – განუცხადეს ჟურნალისტებს საბერძნეთის პოლიციაში.

ქარსლიადისი ქალაქ სალონიკის აეროპორტში დააკავეს. ის ორი მკვლელობის ორგანიზებასა და იარაღის შესახებ კანონის დარღვევაშია ეჭვმიტანილი.

რუსი კილერი სოლონიკი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მეტსახელით იყო ცნობილი, 1990-იან წლებში საბერძნეთში იმალებოდა. მის ანგარიშზე ათობით მკვლელობა იყო.

1997 წელს ის ორეხოვოს დაჯგუფების წევრებმა გაგუდეს. სოლონიკის და ფოტომოდელის სვეტლანა კოტოვას მკვლელობისთვის ორეხოვოს დაჯგუფების ლიდერს, სერგეი ბუტორინს 2012 წელს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო სოლონიკის უშუალო მკვლელს ალექსანდრე პუსტოვალოვს – 23 წლით თავისუფლების აღკვეთა.

„ვაზისუბნის მერე მისი კვალი იკარგება“

ჯუმბერ თამაზაშვილს მე-11 დღეა ეძებენ

67 წლის ჯუმბერ თამაზაშვილს უკვე 11 დღეა ეძებენ. ოჯახის ინფორმაციით, ის ბოლოს ორთაჭალაში, სამარშრუტო ტაქსის გაჩერებაზე ნახა ნაცნობმა.

უკვე ამოღებულია სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, რის მიხედვითაც, ჯუმბერ თამაზაშვილი ორთაჭალიდან ტაქსით ვაზისუბნის მიმართულებით გადაადგილდება.

სამართალდამცველებმა ის ტაქსის მძღოლი უკვე გამოჰკითხეს, რომელმაც კახეთიდან ჩამოსული მგზავრი მახათას მიმდებარე ტერიტორიაზე მიიყვანა.

„პრაიმტაიმი“ დაკარგულის დას, მერი თამაზაშვილს, ესაუბრა.

– ჩემი ძმა 67 წლისაა. ბოლო პერიოდში მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები დაეწყო. ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირში ვცხოვრობთ. 2 იანვარს გავიდა სახლიდან, ვიფიქრე, ბირჟაზე მიდის-მეთქი, მაგრამ რომ დაღამდა და აღარ მოვიდა, მაშინ დავიწყეთ ძებნა.

როგორც გავიგეთ, დაახლოებით შუადღის 2 საათზე წამოვიდა სამარშრუტო ტაქსით თბილისის მიმართულებით. ორთაჭალაში ნაცნობმა ნახა, მაგრამ რას იფიქრებდა, რომ თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა.

პოლიციამ გვითხრა, რომ ამოიღეს ვიდეო კამერის ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც ორთაჭალაში აჩერებს ტაქსის, მიდის ვაზისუბნის მიმართულებით და ამის შემდეგ მისი კვალი იკარგება. პოლიციამ გამოკითხა ტაქსის მძღოლი, რომელიც ამბობს, რომ კლიენტი მახათას მთის მიმდებარედ ჩამოვიდა. სამწუხაროდ, იქ ვიდეო კამერები არ აყენია და ვეღარ გავიგეთ, სად წავიდა.

თბილისში ბევრი ნათესავი გვყავს, მაგრამ არსად მისულა. არც ფული ჰქონდა თან და არც ტელეფონი. აცვია ყავისფერი ქურთუკი და ნაცრისფერი შარვალი. ახურავს ჯინსის ქუდი. თუ ვინმეს რაიმე ინფორმაცია აქვს, იქნებ შეგვეხმიანოს. ძალიან მინდა, ოჯახს უვნებელი დაუბრუნდეს, – ამბობს მერი თამაზაშვილი.

„მას თან 32.000 ლარი ჰქონდა“

საგარეჯოში 42 წლის კაცს ეძებენ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოში 42 წლის კაცს ეძებენ.

ოჯახის ინფორმაციით, ნაზიმ ნაბიევი სახლიდან 4 იანვარს სხვა მუნიციპალიტეტში საქონლის შესაძენად წავიდა და შინ აღარ დაბრუნდა.

დაკარგულს თან 32.000 ლარი ჰქონდა. ნათესავები ვარაუდობენ, რომ ნაბიევი თანხის გამოა გაუჩინარებული და არ გამორიცხავენ, რომ კაცი ვინმემ გაიტაცა.

ახლობლების თქმით, ის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში ფახრათ ყურბანოვთან ჩავიდა, საიდანაც ისინი პირუტყვის შესაძენად კასპის მუნიციპალიტეტში ჩასვლას გეგმავდნენ.

ნაზიმ ნაბიევის დაკარგვის შესახებ ახლობლებმა პოლიციას აცნობეს. მათივე ცნობით, ნაბიევის თანამგზავრი ყურბანოვი პოლიციამ დააკავა.

ბათუმში კორპუსის ჩამონგრევა მზიდი კედლების გამოცლამ გამოიწვია

ბათუმში კორპუსის ნაწილის ჩამონგრევის მიზეზი, რომელსაც 9 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, შენობისთვის მზიდი კედლების გამოცლა გახდა.

ეს ექსპერტიზის ოფიციალური დასკვნაა.

გამოძიების ვერსიით, დაკავებულმა ორმა მუშამ ორი ბინის გაერთიანების დაკვეთა მეპატრონისგან მიიღო. მათ მოანგრიეს მზიდი კედელი, შემდეგ კი, დამატებითი კონსტრუქციებით გამაგრება უშედეგოდ სცადეს.

– 10 წუთის განმავლობაში, შიგნით სამუშაოებს აგრძელებდნენ. შემდეგ კორპუსი დატოვეს და რამდენიმე წუთში ჩამოინგრა. აღნიშნული გარემოება მეტყველებს იმაზე, რომ მათ შენიშნეს ის, რომ საცხოვრებელ კორპუსის კედლებს მოძრაობა დაწყებული ჰქონდა. საკუთარი ძალებით ეცადნენ გამაგრებას, თუმცა, ვერ მოახერხეს, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, – განაცხადა პროკურორმა ალექსანდრე ბრიკვაძემ.

ინგუშეთში ქართველების მონათლული კანონიერი ქურდის ცხედარი იპოვეს

ინგუშეთის სოფელ სურხახის მიმდებარედ ცნობილი კანონიერი ქურდის, 31 წლის ხამზათ აუშევის, ნახევრად გახრწნილი ცხედარი იპოვეს.

ამოღებულია მის ქამარზე მიმაგრებული ცეცხლსასროლი იარაღიც.

აუშევი, 21 წლის ასაკში, გავლენიანმა ქართველმა კანონიერმა ქურდებმა მონათლეს, მათ შორის არიან: ტარიელ ონიანი (ტარო), გივი გორდელაძე (თბილისკი), ალექსანდრე ქარცივაძე (ალიკა), ლევან დადეშქელიანი (სვანი), ჯემალ მიქელაძე (ჯემო), როვშან ჯანიევი (ლენკორანსკი) და სხვ.

გარდაცვალების მიზეზად მედია ორ ვერსიას განიხილავს.

ერთის თანახმად, 31 წლის კანონიერმა ქურდმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, რადგან ვლადიმირის ციხეში მრავალწლიანი პატიმრობის შემდეგ მას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა.

მეორე ვერსიით კი, აუშევი ციხიდან გათავისუფლების შემდეგ რადიკალური ისლამის მიმდევარი გახდა და ინგუშეთის ადგილობრივ ხელისუფლებას დაუპირისპირდა, რის გამოც მისი ლიკვიდაცია დაუკვეთეს.

აშშ-მა ჩრდილოეთ კორეას მორიგი სანქციები დაუწესა

აშშ-ის ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კორეას მორიგი სანქციები დაუწესა. ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სანქციების დაწესების მიზეზი ჩრდილოეთ კორეის მხრიდან რაკეტებისა და ახალი ტიპის იარაღის გამოცდა გახდა.

სანქციები 6 ჩრდილოკორეელ და ერთ რუს მაღალჩინოსანს, ასევე რუსულ ფირმას დაუწესდათ, რომლებიც ჩრდილოეთ კორეისთვის ბირთვული იარაღის მიწოდებაში არიან ჩართულები.

ამასთან, აშშ-მა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მოუწოდა, სანქციები კიდევ 5 ჩრდილოკორეელ მაღალჩინოსანს დაუწესოს.

სექტემბრიდან დღემდე ჩრდილოეთ კორეამ 6 ბალისტიკური რაკეტა გაუშვა, რაც გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციების დარღვევაა.

ლონდონში პრინც ჩარლზის ნახატების გამოფენა გაიხსნა

ლონდონის გარნიზონის სამრეკლოში დიდი ბრიტანეთის პრინც ჩარლზის ნახატების ყველაზე მსხვილი გამოფენა მოეწყო.

გამოფენაზე წარმოდგენილია უელსის პრინცის აკვარელით შესრულებული 79 ნამუშევარი. ამ დროისთვის ეს სამეფო ოჯახის წევრის ნახატების ყველაზე მსხვილი გამოფენაა ისტორიაში. სურათებზე გამოსახულია იმ ადგილების პეიზაჟები, რომლებიც ელისაბედ II-ის მემკვიდრეს ოდესმე მოუნახულებია, მათ შორის, სამეფო რეზიდენცია შოტლანდიის ბალმორალში, საფრანგეთის პროვანსი და აღმოსავლეთ აფრიკული ტანზანია.

აღსანიშნავია, რომ პრინცმა ჩარლზმა ხატვა 1970-იან წლებში დაიწყო. მისი მტკიცებით, ხატვას ის სულ სხვა განზომილებაში გადაჰყავს. როგორც პრინცის გამოფენის ფონდის კურატორმა როზი ოლდერტონმა აღნიშნა, ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეს ბუნებაში ყოფნა და ხატვა მოსწონს.

გერმანიაში სირიელ ანვარ რასლანს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს



გერმანიის სასამართლომ სირიელ მამაკაცს, ანვარ რასლანს, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

სასამართლომ 58 წლის რასლანი სირიის სამოქალაქო ომის დროს ციხეში 4.000-ზე მეტი ადამიანის წამებაში დამნაშავედ ცნო.

2011 წელს დაწყებული საპროტესტო აქციების დროს ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი იყო და დამასკოში დაკავებულ აქტივისტებს 2 წლის მანძილზე აწამებდა.

ბრალდების მხარემ დაადგინა, რომ მან პირადად მოკლა 58 და გააუპატიურა ათობით პირი, ასევე მონაწილეობდა 4.000-ზე მეტი ადამიანის წამებაში.

ანვარ რასლანი 2014 წელს ოჯახის წევრებთან ერთად გერმანიაში ლტოლვილად ჩაბარდა.

ბოლო 3 წლის მანძილზე ის პატიმრობაში იმყოფებოდა.

გაფუჭებული მონეტა ნომინალზე 1020-ჯერ ძვირად გაიყიდა

50-პენსიანი იშვიათი გაფუჭებული ინგლისური მონეტა ინტერნეტაუქციონზე გაიყიდა ისეთ ფასად, რომელიც ნომინალს 1020-ჯერ აღემატება.

მონეტა დეფექტურია, რომელზეც ორჯერაა დაბეჭდილი გამოსახულება. მყიდველი, რომელსაც ის ერგო, ახლა ფლობს ისეთ მონეტას, რომლის ავერსზე ორჯერაა დაბეჭდილი დედოფალ ელისაბედ II-ის თავი, ხოლო რევერსზე – ლომზე მჯდომი ბრიტანეთის ორი გამოსახულებაა.

კოლექციონერებმა უშეღავათო ბრძოლა გამართეს ამ ლოტის გამო. შვიდ დღეში 19 ფსონი დაიდო. შედეგად მონეტა ნომინალზე 1020-ჯერ ძვირად, 510 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. ეს იმ დროს, როდესაც მის საწყის ფასს 99 პენსი შეადგენდა.

„ანტიკოვიდური რეგულაციები ყელში ამოვიდა“

საფრანგეთში პედაგოგების გაფიცვა დაიწყო



13 იანვარს საფრანგეთში მასწავლებელთა ეროვნული გაფიცვა დაიწყო.

ფრანგი პედაგოგები მუდმივად ცვალებადი ანტიკოვიდური რეგულაციებით დაიღალნენ.

მათი აზრით, პოტენციური ინფიცირების გამო ტესტირებისა და იზოლაციის უამრავი მოთხოვნა სასწავლო პროცესს უშლის ხელს და მასში ქაოსი შეაქვს.

პედაგოგები აცხადებენ, რომ მსგავს პირობებში მუშაობის გაგრძელებას არ აპირებენ. ისინი უფრო უსაფრთხო პირბადეებსა და საკლასო ოთახებში ვენტილაციის დონის შესამოწმებლად მონიტორებს ითხოვენ.

– მოსწავლეები ნორმალურად ვერ სწავლობენ, მათი რიცხვი კლასში მუდმივად იცვლება და განათლების ჰიბრიდული ფორმა, დისტანციურიდან ოფლაინზე გადასვლა, შეუძლებელია, – აცხადებენ პროფკავშირები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამაკაცმა ლატარიაში მილიონები მოიგო და ოჯახის წევრებისთვის განაწილებაზე უარი თქვა

რედიტის მომხმარებელმა, რომელმაც ლატარიაში ხუთ მილიონ დოლარზე მეტი მოიგო, განაცხადა, რომ ამ წარმატებამ მას ოჯახთან ურთიერთობა გაუფუჭა.

24 წლის ამერიკელი ამტკიცებს, რომ გადასახადების გადახდის შემდეგ, მისმა მოგებამ 5,6 მილიონი დოლარი შეადგინა. მას გაგონილი ჰქონდა, რომ ლატარიის გამარჯვებულების უმრავლესობა ფულს ფუჭად ხარჯავს და საბოლოოდ კოტრდებიან. ამიტომ მან გადაწყვიტა, მოგებული ფული ჭკვიანურად გამოეყენებინა. ორი მილიონი დოლარი მრავალბინიანი სახლის შეძენაში დახარჯა, რომელიც, როგორც მას ეიმედება, სტაბილურ შემოსავალს მოუტანს. კიდევ სამი მილიონი დაბალი რისკის მქონე სხვადასხვა საინვესტიციო ფონდებში დააბანდა. დანარჩენი თანხა კი საკუთარი და მეუღლის იპოთეკისა და კრედიტების გასტუმრებაში დაეხმარა.

– როდესაც ამის შესახებ ნათესავებს მოვუყევი, ვფიქრობდი, გაუხარდებოდათ, რომ ჭკვიანურად მოვიქეცი, – განაცხადა მამაკაცმა, – მაგრამ მათ დაიწყეს ლაპარაკი, რომ მთელი ოჯახისთვის დიდი მოგზაურობა უნდა მომეწყო, გამესტუმრებინა მათი ვალები და არა მხოლოდ.

როდესაც მან განაცხადა, რომ ფულის ასე განაწილებას არ აპირებდა, ნათესავებმა განუცხადეს, რომ მასთან ურთიერთობა აღარ სურდათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განძის მაძიებელი ჩაძირული ხომალდის განძის მოსაპოვებლად ექსპედიციას აწყობს

ახალზელანდიელმა განძის მაძიებელმა ბილ დეიმ ახალი ექსპედიცია აღჭურვა ჩაძირული იალქნიანი ხომალდის „გენერალ გრანტის“ მოსაპოვებლად. აღნიშნული გემი 150-ზე მეტი წლის წინ ოკლენდის არქიპელაგთან დაიღუპა.

1866 წელს ხომალდი ავსტრალიიდან ლონდონში ბრუნდებოდა, როდესაც კლდეებს შეეჯახა და ჩაიძირა. დაიღუპა თითქმის ყველა, ვინც კი გემზე იმყოფებოდა, მათ შორის რამდენიმე წარმატებული ოქროს მომპოვებელი, რომლებსაც თან მიჰქონდათ 73 კილოგრამი ოქრო. მხოლოდ ათმა ადამიანმა მოახერხა დაუსახლებელ კუნძულ ენდბერიმდე მიეღწია და ცოცხალი გადარჩენილიყო. ისინი ტახებსა და სელაპებზე ნადირობით ირჩენდნენ თავს და მათი გადარჩენა წლინახევრის შემდეგ მოხერხდა.

დეი „გენერალ გრანტის“ განძის მიგნებას და ამოღებას 1986 წლიდან ცდილობს. 36 წლის განმავლობაში მან ოთხჯერ სცადა ჩაძირული იალქნიანი გემი ეპოვა და ყოველ ჯერზე ხელცარიელი დარჩა. მისი თქმით, მეხუთე ექსპედიცია იქნება უკანასკნელი.

– ის ოთხჯერ დამისხლტა ხელიდან, აღარაფერს ვამბობ მათზე, რომლებიც ჩემს გარდა ეძებდნენ. ახლა კი უბრალოდ მსურს, ამ ამოცანის ამოხსნას მივაგნო, – განმარტა განძის მაძიებელმა.

გააფთრებული სპილო ავტობუსს თავს დაესხა და ფანჯარა ჩაუმტვრია



ინდოეთის ოდიშას შტატის მაიურბხანჯის ოლქში გააფთრებული სპილო სამგზავრო ავტობუსს გამოეკიდა და ფანჯარა ჩაუმტვრია. მომხდარი ერთმა თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო.

სამგზავრო ავტობუსი ქალაქ ბალასორიდან მოდიოდა და მისი გზა ტიკარპადას ბუნების ნაკრძალის სიახლოვეს გადიოდა. მოულოდნელად გზაზე მარტოხელა სპილო გამოიჭრა და ავტობუსს თავს დაესხა.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ მისდევს გააფთრებული ცხოველი ავტობუსს, შემდეგ ეჯახება და უბიძგებს. სანამ მძღოლი საჭირო სიჩქარის აკრეფას მოასწრებდა, სპილომ ფანჯრის ჩამტვრევა მოასწრო. ამან ავტობუსის მგზავრები საკმაოდ შეაშინა, თუმცა, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

– ვიფიქრეთ, რომ სპილო ავტობუსს გადააყირავებდა, ყველანი ძალიან შევშინდით, – განაცხადა ვიდეოს ავტორმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

„სამშობლოში ბოლოს 15 წლის წინ ვიყავი“

ვიქტორ სანეევი ავსტრალიაში ქართული მუსიკით დაკრძალეს



ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში ლეგენდარული ქართველი სპორტსმენის, ვიქტორ სანეევის დაკრძალვის ცერემონიალი გაიმართა.

ცერემონიაზე გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს სანეევის მეგობრებმა – ჟურნალისტმა და მძღოლმა მაიკ ჰარსტმა და 1980 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა წყალბურთში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირისა და ავსტრალიის წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელმა, უზბეკმა ერკინ შაგაევმა, რომელიც ახლა სიდნეიში ცხოვრობს.

სამგლოვიარო მსახურებისას წაკითხული იქნა 23-ე ფსალმუნი.

ცერემონიაზე ცნობილი ამერიკელი ჯაზმენის კით ჯარეტის კომპოზიციასთან ერთად, ისმოდა ორი ქართული სიმღერის ჩანაწერი „ცისფერი ტრიოს“ შესრულებით – „ზამთარია“ და „საქართველოო ლამაზო“.

გამოსვენება ადგილობრივი ეკლესიიდან მოხდა, სახელოვანი ჩემპიონი უკანასკნელ გზაზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისგან გაგზავნილი სამგლოვიარო გვირგვინითაც გააცილეს.

სანეევი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა, რომ დასაფლავება მშობლიურ მიწაში ერჩია.

საქართველოს სახელმწიფომ გამოთქვა მზადყოფნა მისი ამ სურვილის აღსასრულებლად. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის სახელით, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მის ოჯახს შესთავაზა ვიქტორ სანეევის ნეშტის საქართველოში ჩამოსვენება და სათანადო პატივით დაკრძალვა საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ამასთან, ოჯახს ეცნობა, რომ ქართული მხარე მზად იყო, გაეღო საამისოდ საჭირო ყველა ხარჯი.

ამ შეთავაზების საპასუხოდ ვიქტორ სანეევის მეუღლემ იანა ხვარწკიამ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ოლიმპიურ ჩემპიონს ლერი ხაბელოვს ელექტრონული ფოსტით გამოუგზავნა მადლიერებით აღსავსე წერილი:

– მე და სანდრო დიდად ვაფასებთ იმ თანაგრძნობას და მხარდაჭერას, რომელსაც ამ დღეებში საქარ-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

შედეგები

12 იანვარი
ფეხბურთი

ესტონეთის თასი
ფინალური ხაუნდი

ტუნისი-მალი 0:1
მავრიტანია-გამბია 0:1
ეკ.გვინეა-კოტ დივუარი 0:1

ინგლისი. ჩემპიონატი

ვესტ ჰემი-ნორვიჩი 2:0

სატუნინიო ცხრილი:

1.სიტი	21	17	2	2	53-13	53
2.ჩელსი	21	12	7	2	45-16	43
3.ლივერპული	20	12	6	2	52-18	42
4.ვესტ ჰემი	21	11	4	6	39-27	37
5.არსენალი	20	11	2	7	33-25	35
6.ტოტენჰემი	18	10	3	5	23-20	33
7.მანჩესტერი	19	9	4	6	30-27	31
8.ვულვზი	19	8	4	7	14-14	28
9.ბრაიტონი	19	6	9	4	20-20	27
10.ლესტერი	18	7	4	7	31-33	25
11.საუთჰემტონი	20	5	9	6	24-30	24
12.კრ.პალასი	20	5	8	7	29-30	23
13.ბრენტფორდი	20	6	5	9	24-30	23
14.ასტონ ვილა	19	7	1	11	25-30	22
15.ევერტონი	18	5	4	9	23-32	19
16.ლიდსი	19	4	7	8	21-37	19
17.უოტფორდი	18	4	1	13	22-36	13
18.ბარნლი	17	1	8	8	16-27	11
19.ნიუკასლი	19	1	8	9	19-42	11
20.ნორვიჩი	20	2	4	14	8-44	10

ინგლისი. ღიგის თასი

ტოტენჰემი-ჩელსი 0:1

ესპანეთი. სუპერთასი

ბარსელონა-რეალი ..... 2:3 (დდ)

იტალია. სუპერთასი

ინტერი-იუვენტუსი ..... 2:1 (დდ)

იტალია. თასი

ატალანტა-ვენეცია 2:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

„სამშობლოში ბოლოს 15 წლის წინ ვიყავი“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

თველოდან ვგრძნობთ. ჩვენ, ორივენი მადლიერი ვართ სამინისტროსი და თბილისის მერიისა, დაიკრძალოს ვიქტორი პანთეონში. იყო რა ამაყი თავისი ქართველობით, ვიქტორი დიდად მადლიერი იქნებოდა მისი პიროვნებისა და დამსახურების ასეთი აღიარებით. ოჯახში განვიხილეთ თქვენი შემოთავაზება და მივიღეთ რთული გადაწყვეტილება, არ განვახორციელოთ იგი.

ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენი ოჯახი ახლა სიდნეიში ცხოვრობს, ამ უპრეცედენტო დროში ჩვენი საქართველოში მოგზაურობა, მით უმეტეს, ჩემი ასაკის გათვალისწინებით, უფრო და უფრო გართულდება და ჩვენ არ გვექნება საშუალება, მივაკითხოთ მის საფლავს ისე ხშირად, როგორც ამას ვისურვებდით.

დიდი მადლობა გაგებისათვის.

სოხუმში დაბადებული ვიქტორ სანეევი 30 წლის მანძილზე ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში ცხოვრობდა და 2022 წლის 2 იანვარს, 76 წლისა აღესრულა.

სანეევის ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუ, შარშანდელია...

– 11 წლის ასაკში დედამ ინტერნატში ჩაგაბარათ. არ განაწყენდით?

– პირიქით. ვფიქრობ, ჭკვიანურად მოიქცა. ბავშვთა სახლი და ინტერნატი ერთი და იგივეა. პირველ წელს გამიჭირდა, რამდენჯერმე მინდოდა გაქცევა, მაგრამ ყოველთვის მოვერიე თავს. ვხვდებოდი, რომ თუ ასე გავაკეთებდი, დედას უფრო გაუჭირდებოდა.

– სპორტი საიდან მოვიდა თქვენთან?

– ბევრს ვკითხულობდი სპორტსმენებზე და ოლიმპიური თამაშები ჩემი ოცნების ზღვარი იყო. უყურებ როგორ იგებენ და ფიქრობ – ერთხელაც იქნება, მეც მოვიგებ. სკოლაში სირაქლემას მეძახდნენ, ვერავინ მეწეოდა როდესაც ფეხბურთს ვთამაშობდით. კარგად გამომდიოდა ფრენბურთი. კალათბურთში კი, აფხაზეთის ნაკრებში ვიყავი. 15 წლის 185 სანტიმეტრი ვიყავი. კალათში ორი ხელით ზემოდან ვტენიდი ბურთს. ფიზიკულტურის ინსტიტუტში ჩაბარებაზე ვოცნებობდი.

მძლეოსნობაში შემთხვევით მოვხვდი. მეგობარმა შემომთავაზა სავარჯიშოდ აკოფ კერსელიანთან მივსულიყავი. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ მომზადებული მივედი, მანამდე ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი. პირველივე ტურნირზე მოვიგე სოხუმის პირველობა. ეს ვარჯიშის დაწყებიდან ერთ თვეში. შემდეგ ვოლგოგრადში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მე-3 ადგილი ავიღე. მწვრთნელი არ მახლდა, თორემ ჩემპიონობაც შეიძლებოდა. მახსოვს, ვიტირე...

– საბჭოთა კავშირის ნაკრებში თქვენი კურატორი ვიტოლდ კრეერი იყო.

– დიახ. თუმცა, მე მაგალითებს დიდი სპორტსმენებიდან ვიღებდი. 16 წლის ვიყავი, როდესაც პირველად ვნახე ვალერი ბრუმელი, მაშინ უკვე მსოფლიო რეკორდსმენი და ჩემს ერთ-ერთ მეგობარს ვთხოვე, ჩვენთვის ფოტო გადაეღო.

– ერთი პერიოდი არჩევანი უნდა გაგეკეთებინათ სიგრძეზე ხტომასა და სამმხტომს შორის.

– სამმაგი უფრო მომწონდა. ნახტომიც გრძელია და მიფრინავ, როგორც ჩიტი. ვფიქრობ, ეს მძლეოსნობის ყველაზე ლამაზი სახეობაა. მაგრამ უდიდესი დატვირთვა აქვს...

– თქვენ 3 ოლიმპიადა მოიგეთ, ამერიკელმა ბადროს მტყორცნელმა ალ ოტერმა – 4.

– ჩვენ ვგავდით ერთმანეთს. საბჭოთა ვარჯიშო პროცესიდან ვერ გააგდებდი. ასევე უყვარდა მარტო ვარჯიში და სპორტის შემდეგაც ცდილობდა, მუდმივად ფორმაში ყოფილიყო. სიდნეი 2000-ის დროს ვიპ ლოჟაში შევხვდი, 62 წლის იყო, მაგრამ 10 წლით ახალგაზრდულად გამოიყურებოდა.



Order of Service
Conducted by Ian Toll

Entry Music
Jazz Composition ~ Keith Jarrett

Welcome & Introduction

Psalm 23

Eulogies
Mike Hurst ~ Journalist, Athletics Coach & Friend
Erkin Shagaev ~ Olympian & Friend

Images of Victor's Life & Reflection Music
Zamtaria ~ Cisperi Trio (Georgian)

Family Tribute read by Ian Toll

Farewell Music
Sakartvelo Lamazo ~ Cisperi Trio (Georgian)

Family Procession to Graveside

Welcome by Ian Toll

The Lord's Prayer

Final Tribute

Committal

The Lord's Prayer

Our Father, which art in heaven,
Hallowed be thy Name.
Thy Kingdom come.
Thy will be done on earth,
As it is in heaven.
Give us this day our daily bread.
And forgive us our trespasses,
As we forgive those that trespass against us.
And lead us not into temptation,
But deliver us from evil.
For thine is the kingdom,
The power, and the glory,

For ever and ever.

ბევრი ფიქრობს, ეს ძძლეოსნობის ყველაზე ლამაზი სახეობაა. მაგრამ უდიდესი დატვირთვა აქვს...

– თქვენ 3 ოლიმპიადა მოიგეთ, ამერიკელმა ბადროს მტყორცნელმა ალ ოტერმა – 4.

– ჩვენ ვგავდით ერთმანეთს. საბჭოთა ვარჯიშო პროცესიდან ვერ გააგდებდი. ასევე უყვარდა მარტო ვარჯიში და სპორტის შემდეგაც ცდილობდა, მუდმივად ფორმაში ყოფილიყო. სიდნეი 2000-ის დროს ვიპ ლოჟაში შევხვდი, 62 წლის იყო, მაგრამ 10 წლით ახალგაზრდულად გამოიყურებოდა.

განსხვავებული სპორტსმენი იყო ბობი ბიმონი, რომელსაც ერთხელ ოლიმპიურ სოფელში ღამის 3 საათზე დისკოთეკაზე შევხვდი. მე დასრულებული მქონდა გამოსვლა და ვისვენებდი, მას კი მე-2 დღეს ფინალი ჰქონდა და საუკუნის ნახტომი გააკეთა.

– ბოლო მსოფლიო რეკორდი მშობლიურ სოხუმში დაამყარეთ. თქვენივე ქორწილის მეორე დღეს.

– დიახ. გადავწყვიტე ასეთი საჩუქარი გამეკეთებინა ჩემი მეუღლისთვის, მსოფლიოში საუკეთესო ქალისთვის.

– თქვენ მონაწილე ხართ იმ ოლიმპიური თამაშების, სადაც ტერორისტული აქტი მოხდა – მიუნხენი 1972.

– გერმანიაში გაცილებით მკაცრად იყო ყველაფერი, ვიდრე 4 წლის წინ მექსიკაში. ოლიმპიადა უკვე მოგებული მქონდა და ცუდად მეძინა. გასროლის ხმები კი გავიგე, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. დილას გასასეირნებლად მინდოდა გასვლა და არ გამიშვეს, ტერორისტები არიანო.

ისრაელს ოლიმპიური თამაშების შეწყვეტა უნდოდა, მაგრამ მაშინდელმა პრეზიდენტმა გადაჭრით თქვა უარი. ალბათ, სწორადაც მოიქცა – ოლიმპიური თამაშები უნდა გაგრძელებულიყო.

– გახსოვთ დღე, როდესაც ლენინის სახელობის ორდენი გადმოგცეს?

– რა თქმა უნდა. თუმცა, უფრო მეტად ის დღე მახსოვს, მეუღლესთან ერთად როგორ ამოვავლეთ ის ორდენი სასმელში.

ახლაც ბევრი მეკითხება – იმ ორდენში ფულს გაძლევენ? ბარემ თქვენ გეტყვით წინასწარ, რომ ორდენი მხოლოდ სახელისთვის არის. ვოლგა მაყიდინეს საქართველოში, სულ ეს იყო. ისიც ალბათ იმიტომ, რომ ფეხი 127 სანტიმეტრი მაქვს და სხვა მანქანაში ვერ ჩავეტეოდი.

– რა მოხდა მოსკოვი 80-ის ოლიმპიურ თამაშებზე?

– მოსკოვში ოლივეირა შესანიშნავ ფორმაში იყო. ვფიქრობ, რომ ერთი ნახტომი უსამართლოდ არ ჩაუთვალეს. თითქოს ხაზს ფეხი დაადგა. შემდეგ მე 17,24 მეტრზე გადავხტი, ხოლო ბრაზილიელი – 17,22. მაშინ მიჩვენა ოლივეირამ თითებით 4-გზის ოლიმპიური ჩემპიონი ხარო. თუმცა, იააკ უუდმიაემ მოიგო, რომელსაც არასწორად ჩაუთვალეს ნახტომი.

– ეს რითი შეიძლება ავხსნათ?

– მაშინ ბალტიისპირეთთან ცოტა დაძაბული სიტუაცია იყო და, შესაძლოა, ამანაც ითამაშა როლი. სწორედ მაშინ დაიწყო ასეთი პოლიტიკა.

– ჩემთვის ბევრად უფრო საინტერესო იქნებოდა მესაუბრა გმირთან – ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონთან.

– მაგრამ მე საქართველოდან ვარ. მოსკოველი რომ ვყოფილიყავი, მასეც იქნებოდა. აქვე გეტყვით, რომ მოსკოვის ოლიმპიადაზე ცეცხლი სერგეი ბელოვს კი არ უნდა დაენთო, არამედ – მე, რადგან უფრო მეტი ტიტული მქონდა. თუმცა, მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ეს საპატიო მისია უნდა შეასრულოს რუსმა და არა საქართველოში დაბადებულმა. ეს მოგვიანებით მითხრეს. სიმართლე გითხრათ, არც მეხალისებოდა ჩირაღდნით სირბილი. წამითაც არ დავფიქრდებოდი, ისე ვიტყოდი უარს, მაგრამ უფლება არ მქონდა. იმდენი ძალა წაიღო, მომდევნო დღეები ძილბურანში დავდიოდი.

– ალბათ, მაინც ნანობთ, რომ 4-გზის ოლიმპიური ჩემპიონი ვერ გახდით. ასეთები მთელ მსოფლიოში თითებზეა ჩამოსათვლელი.

– არა. არც მაშინ არ მინანია. უუდმიაე სტუმრად იყო ჩამოსული, როდესაც თბილისში ჩემი 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. უუდმიაეს პატივს ვცემ, როგორც კარგ სპორტსმენსა და ადამიანს. უბრალოდ, ის ოლიმპიადა... ყველაფერი დაგეგმილი იყო. თუმცა, დამიჯერეთ, ის ვერცხლის მედალი ჩემთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან 35 წლის მანძილზე შევძელი ის, რაც შემეძლო გამეკეთებინა. მეტიც...

– ასეთი შესანიშნავი კარიერის შემდეგ, როგორ აღმოჩნდით ავსტრალიაში?

– 1992 წელს ავსტრალიის ფედერაციამ შემომთავაზა ლექციების წაკითხვა პრაქტიკულ საქმიანობაში. 20 დღეს ვიყავი ამ ჯადოსნურ ქვეყანაში. შემდეგ სიდნეიში, ერთ-ერთ კათოლიკურ კოლეჯში შემომთავაზეს სამსახური, სადაც 5 წელი დავყავი.

– გაგვიგია, რომ პიცის დამტარებლადაც გიმუშავიათ.

– იყო ასეთიც. აქ ყველა სამსახური დასაფასებელია. ახლა საკუთარ ბაღს ვუვლი, მაგრამ, ძირითადად, მწვრთნელად ვმუშაობდი.

კარგი ანაზღაურებით, კარგი სამუშაო პირობებით, მაგრამ ბავშვებს დიდი სპორტისკენ არავინ უბიძგებს. მთავარია, ჯანმრთელები გაიზარდონ. ერთია, განუმეორებელი გრძნობა, როდესაც რამდენიმეათასიან სტადიონზე გამოდიხარ. წარმოუდგენელი ადრენალინია. მით უფრო, როდესაც იცი, რომ ამხელა ქვეყანა გგულშემატკივრობს. აგერ უკვე 75 წლის ვარ, წონა მუდმივად 78 კილოგრამი. ვვარჯიშობ, ვმუშაობ. სახლი დიდია, დიდი ბაღი მაქვს. ბოლოს და ბოლოს სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული. ავოკადოსა და გრეიფრუტის ხეები 100 კილოგრამამდე ნაყოფს იძლევა. ვჩუქნით მეგობრებს, მეზობლებს... ვცხოვრობ მეუღლესთან და შვილთან ერთად, რომელიც სკოლაში მასწავლებელია. მეუღლე ფსიქიატრია და სპეციალობით მუშაობს. 48 წელია, ერთად ვართ...

– ბედნიერი ადამიანი ხართ.

– ვიყავი ცხოვრების პირველ ნახევარში. მეორეზე ვერაფერს გეტყვით. შემომეპარა სიბერე...

– უფრო ცუდი ცხოვრებაც არსებობს. თქვენი მეგობარი ოლივეირა სასმელით გარდაიცვალა.

– იცით, რის შემდეგ? როდესაც სხვისი შეცდომის გამო ავტოავარიაში მოჰყვა და ფეხი მოაჭრეს. ვნახე 1985 წელს, მაშინ უკვე ეტანებოდა ალკოჰოლს. შემდეგ ფილმიც გადაიღეს მასზე. ღარიბი ოჯახიდან იყო. ახლა ამით რა შედარება გამიკეთეთ. მეც იგივე სიტუაცია მქონდა?!

ოლივეირა 1975 წელს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. ბრაზილიაში პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს. თუმცა, ოლიმპიადებზე არ უმართლებდა. ორი ბრინჯაო კარგი შედეგია, მაგრამ არა – მისთვის. მისი შედეგი (17,89) ახლაც კი გამორჩეული შედეგია.

– ავსტრალია კომფორტული ქვეყანაა?

– დიახ. ერთია, კლიმატი არის ცოტა მძიმე. წვიმები, სითბო, ხანძარი, მაღალი მზის რადიაცია. ხანდახან სოხუმისას ჰგავს.

– რატომღაც მგონია, რომ საღამოობით მეუღლესთან ერთად რუსულენოვან არხებს უყურებთ.

– არა. მხოლოდ დილით თუ შევხედავ ენ-ბი-სი-ზე რუსულ ამბებს და ისიც ირონიით. რუსულენოვანი არხები არც გვაქვს. მეუღლეს დოკუმენტური ფილმები უყვარს, ერთად ჩოგბურთისა და კალათბურთის მატჩებს ვუყურებთ.

– როდის იყავით ბოლოს სამშობლოში?

– 15 წლის წინ. როდესაც ჩადიხარ, უფრო მეტი ტკივილი გვხვდება. უკვე აღარც დედა, აღარც მეგობრები...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მაღალხარისხოვანი წმინდა ღვინო; 2. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 3. მოკლელულიანი შაშხანა; 4. კუთხური მიმართვა მამაკაცისადმი კახეთში; 5. დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი სახე; 6. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ავი, ბოროტი არსება; 7. მონასტერი ქსნის ხეობაში; 10. მემკვიდრეობითობის მატარებელი ერთეული ცოცხალ ორგანიზმში; 11. არქიტექტურულ-სკულპტურული ნაგებობა; 12. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 13. თონეში გამომცხვარი პური; 16. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 18. პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 19. დიდი ღელვა ზღვაზე; 21. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 24. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც ღებულობენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს.

თარაზულად: 1. მსუბუქი ავტომობილების ამერიკელი კონსტრუქტორი; 3. ერთბინიანი პატარა სახლი; 8. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 9. უკუდო მაიმუნი; 14. გარითმული აფორიზმი; 15. ლითონის ფული; 17. მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი; 20. პატიოსნება, სინდისი; 22. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 23. რომელიმე დარგის საწარმოთა გაერთიანება; 25. ფუტკრის სადგომი; 26. გადამდნარი კარაქი; 27. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 28. სამშობლოდან განშორების სევდა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გდანსკი; 2. ხარატი; 3. კულინარია; 4. თუთუნი; 5. ვალმარტი; 7. სონი; 11. სპეტაკი; 13. მატროსი; 15. გენუა; 16. სელტა; 18. რომბი; 19. ტესტი.

თარაზულად: 6. დუნსტი; 8. თაფლუჭი; 9. თრთვილი; 10. სუფიქსი; 12. ხირსა; 14. ქიმერა; 17. ინტერნეტი; 20. აკაპელა; 21. ჟუდეცი; 22. ბისტრო; 23. გარდნერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯეემი; 2. ინა; 3. მაღარიჩი; 4. დო; 5. ლიმონათი; 6. პაპი; 7. დისპუტი; 10. ზარა; 11. პართენონი; 12. სათაფლია; 13. რელე; 16. სალაჰი; 18. დრენაჟი; 19. ისინდი; 21. ძეხვი; 24. ტოკაი.

თარაზულად: 1. ჯეირანი; 3. მიკადო; 8. ხილარი; 9. მუზა; 14. ბრერა; 15. სედანი; 17. თუჯი; 20. ჩხეიძე; 22. თართი; 23. სოფიტი; 25. მეი; 26. აული; 27. ანსა; 28. კარნავალი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0866	ევრო — 3.5376
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2410	100 რუსული რუბლი — 4.1357

ამინდის პროგნოზი 14 იანვრისათვის

ალექსის სანჩესი: „გატანილი გოლის გამო უბედნიერესი ვარ“



ინტერმა იტალიის სუპერთასის ფინალში იუვენტუსი დაამარცხა 2:1 და გადამწყვეტი გოლი დამატებითი დროის ბოლო წუთზე ალექსის სანჩესმა გაიტანა, რომელიც, ბუნებრივია, მატჩის შემდეგ ემოციებს არ მალავდა და მისი აზრით, ეს გოლი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მის კარიერაში:

– ძალიან მიხარია, რომ გოლი გავიტანე, მაგრამ მთავარი აქ ინტერის გამარჯვებაა, ხოლო ინდივიდუალური მიღწევები მეორეხარისხოვანია. მინდა, ინტერთან ერთად ბევრი ტიტული მოვიგო.

ანტონიო კონტემ შესაძლოა ტოტენჰემი დატოვოს

ანტონიო კონტე ტოტენჰემში კმაყოფილი არ არის და შესაძლოა მან თვითონ გაწყვიტოს კონტრაქტი ლონდონურ კლუბთან, თუმცა ამ შემთხვევაში ის ფულად კომპენსაციას ვერ მიიღებს.

კონტეს უკმაყოფილებას ტოტენჰემის სატრანსფერო პოლიტიკა იწვევს, რადგან ანტონიო ვერ იღებს იმ ფეხბურთელებს, ვისთანაც მუშაობა სურს.

გარდა ამისა, მას გუნდის ხელმძღვანელობასთანაც დაძაბული ურთიერთობა აქვს.

პიკე: „რეალმა კონტრშეტევების ხარჯზე მოიგო“

მადრიდის რეალმა ესპანეთის სუპერთასის ნახევარფინალში ბარსელონა 3:2 დაამარცხა და ფინალში გავიდა.

მატჩის შემდეგ ბარსელონას ცენტრალური მცველი ჟერარ პიკე შედეგით იმედგაცრუებული იყო. მისი აზრით, ბარსელონას წაგება არ დაუმსახურებია:

– მთელი მატჩის მანძილზე უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ რეალმა კონტრშეტევებზე ააწყო თამაში და, სამწუხაროდ, მისი შეჩერება ვერ შევძელით. თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ და ასე უნდა გავაგრძელოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მამაკაცმა საკუთარი ძაღლი პითონის მარწუხებისგან დაიხსნა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ ბრისბენში რომბისებური პითონი ძაღლს თავს დაესხა და მისი გაგუდვა ცადა.

აღნიშნული ინციდენტი ღამით მოხდა. შინაური ცხოველის პატრონს ქუჩიდან ხმაური შემოესმა, გადაწყვიტა გაერკვია, რა ხდებოდა და სახლის გვერდით მოზრდილი გველი აღმოაჩინა, რომელიც მისი ძაღლის შეჭმას აპირებდა. მამაკაცმა საყვარელი ცხოველის გადარჩენა მოასწრო და გველებზე მონადირე სპეციალისტს დაუკავშირდა.

გამოძახებაზე მისულმა გველებზე მონადირე ჯოშუა კესტლმა დაიჭირა პითონი, რომლის სიგრძეს დაახლოებით 1,5 მეტრი შეადგინა და მოგვიანებით ქვეწარმავალი დასახლებიდან მოშორებით, ბუნებაში გაუშვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

14 იანვრისათვის

ვერძი – დღეს ძალიან გაუმართლებთ ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანებს. პრობლემების მოგვარებასა და ჩანაფიქრის რეალიზებაში ხელი არ შეგეშლებათ. **კურო** – არასტაბილური დღეა. მიზნის მიღწევას საკმაო შრომა დასჭირდება. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა. საოჯახო საქმეების მოგვარებაც დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. **კირჩხიბი** – ვარსკვლავები გირჩევენ, ეს დღე შემოქმედებით საქმიანობას მიუძღვნათ. გუნება-განწყობას ვერაფერი გაგიფუჭებთ. **ლომი** – მამაკაცებისთვის იღბლიანი პერიოდია. განსაკუთრებით იოლად მოახერხებთ საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას. **ქალწული** – გელით ახალი საინტერესო ნაცნობობა. მეგობრული და საქმიანი კონტაქტები გაამართლებს. **სასწორი** – სახიფათო დღეა. ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას, თორემ პრობლემები შეგექმნებათ. **ღრიანკალი** – მშვიდი და სიხარულით აღსავსე პერიოდია. თავს ლაღად და თავისუფლად გრძნობთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმიანობა წარმატებული იქნება და კმაყოფილებას მოგგვრით. გელით ურთიერთობა საინტერესო ადამიანებთან. **თხის რქა** – დიდი ხნის გადაუჭრელ პრობლემას, სავარაუდოდ, დღეს მოაგვარებთ. კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლისათვის. **მერწყული** – პიროვნული მომხიბვლელობა თქვენს წარმატებას ხელს შეუწყობს. საკუთარ უნარებს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. **თევზები** – აგრესიული, პროვოკაციული და მაცდური დღეა. თავს ნურაფრით გაინებივრებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ქალი სამხედრო კი მინახავს, მაგრამ სამხედრო სტრატეგი, მეთაური თუ გაგიგია?

– არა და რატომ?

– იმიტომ, რომ ორი არმია შეიკრიბა ბრძოლის წინ, ამ დროს კი დილით ადგება ქალი და იტყვის: „ოჰ, დღეს არა, თავი მტკივა!“

●●●

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

– რას წაიღებდით დაუსახლებელ კუნძულზე იქ კარგად მოსაწყობად? აბა, ლევან, რას მიპასუხებ?

– ხორბალს წავიღებდი, რომ იქ პური გამოულევლად მქონდეს.

– ყოჩაღ და შენ, მერაბ?

– მე წავიღებდი თოფსა და სათევზაო მოწყობილობას, რომ ხორცი და თევზი არ მომაკლდეს.

– ყოჩაღ, შენ რას მეტყვი, მამუკა?

– მე წავიყვანდი თან გოგონას სექსისთვის და ვაზს, რომ ვენახი გავაშენო და ღვინო და მხიარულება არ მომაკლდეს.

– ყოჩაღ და შენ, გიგი?

– მე თან წავიყვანდი ლევანს, მერაბსა და მამუკას!

●●●

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– როგორ მომრავლდა განქორწინებები. ამბობენ, რომ მხოლოდ ყოველი მეათე ქორწინებაა იღბლიანიო და თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– ვერაფერს გეტყვით, ჯერ მხოლოდ მესამე ქორწინებაში ვიმყოფები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რეზო ამაშუკელი საბურთალოს ახალ სასაფლაოზე დაკრძალეს

პოეტი რეზო ამაშუკელი 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი სამოქალაქო პანაშვიდები სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა. პოეტი უკანასკნელ გაზზე გააცილეს მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა, პოლიტიკოსებმა, საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა და რიგითმა მოქალაქეებმა.

13 იანვარს რეზო ამაშუკელი საბურთალოს ახალ სასაფლაოზე დაკრძალეს.

ზვიად ციკოლია სუნამოებს ქვევრის ფორმის ბოთლებში შემოგვთავაზებს

დიზაინერი ზვიად ციკოლია სულ მალე ახალ სუნამოს შემოგვთავაზებს, რომელიც ქვევრის ფორმის ბოთლში იქნება ჩასხმული.

დიზაინერმა თავისი იდეა საქპატენტში უკვე დაარეგისტრირა.

ქვევრის ფორმის სუნამოს ბოთლი ზვიად ციკოლიას ახალი დიზაინია. სპილენძისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი და გამჭვირვალე სუნამოს ბოთლები სადგამებით ის დიზაინებია, რომელთა რეგისტრაციის თაობაზე საქპატენტის ექსპერტიზამ დადებითი გადაწყვეტილება გამოიტანა.

დიზაინი ექვემდებარება დაცვას, თუ მას აქვს სიახლე და არის ინდივიდუალური.

სუნამოს ბოთლებამდე ზვიად ციკოლიამ საზოგადოებას ქვევრის გამოყენებით სხვადასხვა სამკაულებიც წარუდგინა.

ზაზა კოლელიშვილი 65 წლისაა

რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი ზაზა კოლელიშვილი იუბილარია. მას 65 წელი შეუსრულდა.

ხელოვანმა არაერთ სპექტაკლსა თუ ფილმში მიიღო მონაწილეობა.

მისი შემოქმედების სავიზიტო ბარათი მაინც მურტალოს როლია ქეთი დოლიძის ფილმიდან „კუკარაჩა“, თუმცა მისი თაყვანისმცემლები არც შეთეს როლს ივიწყებენ თენგიზ აბულაძის ფილმიდან „ნატვრის ხე“.

სხვადასხვა წლებში ზაზა კოლელიშვილი თელავის თეატრისა და რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო. გადაღებული აქვს ფილმები „გარიგება“, „არჩევანი“, „ქუთაისელი ბაბუ“, „გარიგება 2“. მისი ერთ-ერთი ბოლო ფილმია „ომი და ქორწილი“.

ზაზა კოლელიშვილი სერგო ზაქარიაძის სახელობის თანამედროვე ხელოვნების სასწავლებლის ოსტატობისა და სასცენო მეტყველების პედაგოგი იყო, ასევე ასწავლიდა ხელოვნების აკადემიაში ხელოვნების ოსტატობას. ხელმძღვანელობდა ქუთაისის კულტურის სამსახურს, დააფუძნა ბავშვთა ხელოვნების სტუდია, არასამთავრობო ორგანიზაცია „მსახიობები საზღვრებს გარეშე“, კინოსტუდია „გარიგება“.

იუბილარ ხელოვანს ჰყავს მეუღლე ნათია გოგოჭური, 5 შვილი და შვილიშვილები.

გიორგი მანოშვილმა იტალიაში პირველი ადგილი მოიპოვა

ოპერის მომღერალმა გიორგი მანოშვილმა იტალიაში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე პირველი ადგილი მოიპოვა.

ინფორმაცია გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესმა სასწავლებელმა გაავრცელა:

– ძალიან სასიხარულო ამბავი უნდა გაცნობოთ! ქართველმა ბანმა იტალიაში კლასიკური მუსიკის კონკურსში გაიმარჯვა! გალობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, გიორგი მანოშვილს დიდი სიხარულითა და სიამაყით ვუღოცავთ ნიკოლაი გიაუროვის სახელობის კონკურსში გამარჯვებას და კიდევ მრავალ წარმატებას ვუსურვებთ შემოქმედებით გზაზე!

ბიონსე გუჩისა და ბალენსიაგას ერთობლივი სამოსით გამოჩნდა

მსოფლიო ვარსკვლავი ბიონსე დემნას ბრენდის, ბალენსიაგასა და გუჩის კოლაბორაციით შექმნილი სამოსით ჟურნალისტების წინაშე წარდგა

დემნამ და გუჩის შემოქმედებითმა ხელმძღვანელმა გადაწყვიტეს, ბრენდები გააერთიანონ და მომხმარებელს სრულიად ახლებური კოლექცია შესთავაზონ.

ბიონსემ არჩევანი ვერცხლისფერი კოლექციიდან ერთ-ერთ მათგანზე შეაჩერა და ფოტოგრაფების წინაშეც სიამოვნებით იპოზიორა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ქამრის ლითონის ენიანი შესაკრავი; 2. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 3. ჰიუგოს რომან „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარის“ პერსონაჟი; 4. სათბურში გამოყვანილი ბოსტნეულის ნერგი; 5. ღვარძლიანი დაცინვა, მწვავე ირონია; 7. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსასხამი; 13. შავი ზღვის ზვიგენი; 15. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 16. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 18. ლხინი, დროსტარება; 19. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში.

თარაზულად: 6. ინდოეთის ქალაქ მუმბაის ძველი სახელწოდება; 8. ხრტილოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 9. ყვითელი ფერის ლითონი – სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 10. მდგომარეობა კრიკში; 12. ლეშისმჭამელი აფრიკული ცხოველი; 14. ირანის ძველი დედაქალაქი; 17. სამძებრო პოლიციის აგენტი, მაძებარი; 20. ფულის ერთეული ბრაზილიაში; 21. საზღვარგარეთ გახსნილი ანგარიში; 22. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 23. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზესტაფონის მახლობლად.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა